პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 26 ივნისი, 1951 წ. № 148 (9002). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკისათვის — „პრავდის" 24/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (1-ლი გვერდი).
უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში (1-ლი გვერდი).
პროფესორი ვ. თოფურია — სტალინური ენათმეცნიერების ერთი წელი საქართველოში (მე-2 გვერდი).
ღამის ცვლის აგიტატორები (მე-2 გვერდი).
„ჩემი პირველი ლექსები" (მე-3 გვერდი).
აკ. ჩავლეიშვილი—კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა (მე-3 გვერდი).
დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაძლიერდეს (მე-3 გვერდი).
მექანიზმებს წარმატებით იყენებენ, დანერგეს სამეურნეო ანგარიში (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მიმართვა მთელი მსოფლიოს ქალებისადმი (მე-4 გვერდი).

ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკისათვის

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარმა თათბირმა, რომელიც პარიზში მიმდინარეობდა, შეწყვიტა მუშაობა ისე, რომ არ შეუსრულებია მისთვის დაკისრებული ამოცანა — შეედგინა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგი. თათბირმა შეწყვიტა მუშაობა, რადგან 21 ივნისს დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობები უარს ამბობენ მოლაპარაკების განგრძობაზე. დასავლეთის სახელმწიფოთა უარი მოლაპარაკების განგრძობაზე არ შეიძლება განვიხილოთ სხვანაირად, თუ არა როგორც აქტი, რომლის მიზანია არ იქნას დაშვებული საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევა.

შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს იმის შესახებ, რომ შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს. ისინი პასუხისმგებელი არიან არა მარტო პარიზის მოლაპარაკების ჩაშლისათვის, არამედ აგრეთვე საერთაშორისო ვითარების მზარდი დაძაბულობისათვის. პარიზის მოლაპარაკების მთელმა მსვლელობამ და, ბოლოს, მისმა ჩაშლამ ცხადყო, რომ დასავლეთის სახელმწიფოები არა თუ არ ისწრაფვიან შეანელონ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობა ევროპაში, როგორც ისინი თვალთმაქცურად აცხადებდნენ, არამედ, პირიქით, ცდილობენ კიდევ უფრო გაამწვავონ ახლანდელი ვითარება.

დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით იძულებული იყვნენ დაეწყოთ მოლაპარაკება, პარიზის წინასწარი თათბირის პირველ დღეებიდანვე გზა აიღეს იმისაკენ, რომ ყოველნაირი დაბრკოლება შეექმნათ შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის გზაზე.

პარიზის მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზი როდია შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღწევის სიძნელე ან შეუძლებლობა, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ დასავლეთის სახელმწიფოები, რათა მოატყუონ საზოგადოებრივი აზრი. მოლაპარაკების ჩაშლის ნამდვილი მიზეზია დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკა—აგრესიისა და ახალი ომის გაჩაღების პოლიტიკა. ამტკიცებენ რა სიტყვით, რომ ისინი თითქოს ესწრაფვიან საბჭოთა კავშირთან და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ნამდვილად ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააუარესონ ეს ურთიერთობა.

დასავლეთის სახელმწიფოთა ტაქტიკამ პარიზის წინასწარ თათბირზე განსაკუთრებით მჭევრმეტყველურად დაადასტურა ეს. საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე განსახილველად საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების ნამდვილად უმნიშვნელოვანესი და მწვავე პრობლემები. ამავე დროს დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ წამოყენებული წინადადებანი მოწმობდნენ, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს სრულიადაც არ სურთ განიხილონ აქტუალური საკითხები, რომლებსაც უშუალო პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ევროპაში არსებულ დაძაბულობასა და ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობათა გაუმჯობესებასთან. დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთი თვალთმაქცური ფრაზებით წინასწარ თათბირზე ყოველნაირად ცდილობდნენ შეცდომაში შეეყვანათ საზოგადოებრივი აზრი.

დასავლეთ სახელმწიფოთა ნამდვილი პოზიციის მახინჯი არსი მთელი სიცხადით გამოვლინდა ისეთი კონკრეტული და უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას, როგორიცაა გერმანიის დემილიტარიზაციის, შეიარაღების შემცირებისა და განსაკუთრებით ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი.

დასავლეთის სახელმწიფოები გულმოდგინებით, რომელსაც უკეთესი გამოყენება შეეფერება, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა დაებრკოლებინათ დღის წესრიგში გერმანიის დემილიტარიზაციის საკითხის და მისი რემილიტარიზაციის არდაშვების საკითხის შეტანა. ამავე დროს ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, ინგლისმაც და საფრანგეთმაც ხელი მოაწერეს პოტსდამის შეთანხმებას, რომელიც ამ სახელმწიფოებს ავალებს სსრ კავშირთან ერთად განახორციელონ გერმანიის დემილიტარიზაცია და არ დაუშვან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება. საქმეც ისაა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, უხეშად არღვევენ რა პოტსდამის შეთანხმებას, ახორციელებენ დასავლეთ გერმანიის გამალებულ რემილიტარიზაციას და არ სურთ ხელი აიღონ ამ პოლიტიკაზე, რომელსაც საერთო არა აქვს რა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საქმესთან.

ასევე ჯიუტად და დაჟინებით ეწინააღმდეგებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები დღის წესრიგში შეიარაღების შემცირების საკითხის შეტანას, ცდილობდნენ ეს საკითხი შეეცვალათ ეგრეთწოდებული შეიარაღების დონის ფორმულით. ამასთან დასავლეთის სახელმწიფოები ისახავდნენ პირდაპირ მიზანს: უზრუნველეყოთ თავისთვის იმ გამალებული შეიარაღების კვლავაც განგრძობის შესაძლებლობა, რომელსაც ისინი ამჟამად ახორციელებენ.

დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ორმაგი თამაში მხილებულ იქნა, როცა ირჩეოდა ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების შესახებ პუნქტის დღის წესრიგში შეტანის საკითხი. დასავლეთის სახელმწიფოებმა კატეგორიულად უარი თქვეს შეტანილი ყოფილიყო ეს საკითხი დღის წესრიგში თუნდაც შეუთანხმებელი პუნქტის სახით. მათ შექმნეს კრიზისი პარიზის თათბირის მუშაობაში და ჩიხამდე მიიყვანეს მოლაპარაკება. პოზიცია, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებმა დაიკავეს ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების საკითხში, ყველაზე მეტად ამხილებს ახალი ომის მზადებისაკენ მიმართულ მათს პოლიტიკას.

საბჭოთა დელეგაციამ იმიტომ წამოაყენა წინადადება შეტანილი ყოფილიყო დღის წესრიგში პუნქტი ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების შესახებ, რომ სწორედ ატლანტიკის პაქტი წარმოადგენს ევროპაში დაძაბული მდგომარეობის მთავარ მიზეზს. სწორედ ატლანტიკის პაქტის საფუძველზე ხორციელდება დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები ბონის რევანშისტულ მთავრობას უთანხმდებიან ატლანტიკის აგრესიულ დაჯგუფებაში დასავლეთ გერმანიის ჩაბმის შესახებ. უკვე ეს ფაქტი საკმაოდ მჭევრმეტყველურად ცხადყოფს დასავლეთის სახელმწიფოთა იმ მტკიცების სიცრუეს, თითქოს ატლანტიკის პაქტი „თავდაცვის" მიზნებს ისახავდეს.

მთელი მსოფლიოსათვის აშკარაა, რომ ატლანტიკის პაქტი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების აგრესიული პოლიტიკის იარაღია. სწორედ იმავე ატლანტიკის პაქტის საფუძველზე, რომლის სულ უფრო და უფრო გაფართოებას ცდილობენ მისი ორგანიზატორები, აპროექტებენ რა თურქეთის, საბერძნეთის და ესპანეთის შეყვანას მასში, ხორციელდება უმაგალითო გამალებული შეიარაღება, სულ უფრო იზრდება სამხედრო ბიუჯეტები, იქმნება სტრატეგიული ნედლეულის მარაგი, დიდდება ამ პაქტის მონაწილეთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა, იქმნება სულ ახალ-ახალი სამხედრო ბაზები და დასაყრდენი პუნქტები.

თავისთავად ცხადია, ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების საკითხის განუხილველად საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი ვერ შეუწყობდა ხელს ოთხი სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას. დასავლეთის სახელმწიფოთა უარი შეტანილ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღის წესრიგში ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი, ნათლად მოწმობს, რომ მათ არ სურთ ურთიერთობის გაუმჯობესება, რომ მათი განცხადებანი ამის შესახებ თავიდან ბოლომდე ყალბი და თვალთმაქცურია, რომ მათი პოლიტიკა არის საერთაშორისო თანამშრომლობის ჩაშლისა და აგრესიის პოლიტიკა.

დასავლეთის სახელმწიფოებს იმიტომ არ სურთ ატლანტიკის პაქტის განხილვა, რომ ეშინიათ საზოგადოებრივი აზრისა, ეშინიათ საჯაროობისა, ეშინიათ სინათლისა, რომელიც გამოააშკარავებს მათს აგრესიულ და დანაშაულებრივ ზრახვებს, რომლებიც მიმართულია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ. ნამდვილ სამშვიდობო პოლიტიკას არ ეშინია სინათლისა, არ ეშინია საზოგადოებრიობის მსჯავრისა. საბჭოთა მთავრობამ თვითონ წამოაყენა წინადადება გამოეტანოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის განსახილველად მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ის ხელშეკრულებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დადო ჩინეთთან, პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, ფინეთთან, ბოლოს, საფრანგეთსა და ინგლისთან.

დასავლეთის სახელმწიფოებმა არ მიიღეს საბჭოთა წინადადება. მათ ლაჩრულად უკან დაიხიეს, საკითხების აშკარა განხილვას მოლაპარაკების ჩაშლა ამჯობინეს.

მშვიდობისმოყვარე ხალხები, მთელ მსოფლიოში მშვიდობის მომხრენი შეძლებენ თავიანთი დასკვნები გააკეთონ პარიზის მოლაპარაკების საგულისხმო გაკვეთილებიდან. დასავლეთის სახელმწიფოთა ტაქტიკამ პარიზის წინასწარ თათბირზე კვლავ ცხადყო, რომ ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტური ბლოკის ხელმძღვანელები, გამალებით ამზადებენ რა თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელებას, ამავე დროს ცდილობენ სიცრუის ქსელში გახვიონ ხალხის მასები, მოატყუონ ისინი და ახალ მსოფლიო ომში ჩაითრიონ.

მშვიდობისათვის მებრძოლთა აღფრთოვანებს ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას.

პარიზის მოლაპარაკებამ კვლავ დაანახვა მსოფლიოს, რომ საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით, თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობისათვის ბრძოლის პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი კვლავაც განუხრელად განახორციელებს ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას. ეს პოლიტიკა შეესაბამება არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა, არამედ აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საარსებო ინტერესებს.

„პრავდის" 24/VI მოწინავე

კუიბიშევის ოლქი. დღითიდღე ფართოვდება „კუიბიშევჰიდროსტროის" საწარმოო-ტექნიკური ბაზა. მშენებლობის მოედნებზე გაჩაღებულია მუშაობა ბეტონის ქარხნების, სარემონტო-მექანიკური ქარხნის, ავტობაზის ასაგებად.

სურათზე: მიწის სამუშაოები მარცხენა ნაპირის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მშენებლობის რაიონში.

ფოტო მ. კლიმენკოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

მშენებელთა სტახანოვური საჩუქრები

ციმლიანსკაია, 23 ივნისი. (საქდესი). ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მშენებლები მშენებლობის მომავალი მეორე პარტიული კონფერენციის აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დადგნენ.

— პირნათლად შევასრულებთ ამხანაგ ი. ბ. სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებებს, — ამ ლოზუნგით ეჯიბრებიან ერთმანეთს მშენებლები შრომითი ვახტის დღეებში. მოწინავე კოლექტივებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. ამხ. სტეშინის სამშენებლო რაიონის კოლექტივმა, რომელიც აგებს მიწის კაშხალსა და ნავსადგურს, პირველმა შეასრულა ვადაზე ადრე მეორე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა.

კაშხალის დაბეტონებაზე პირველობა უკავიათ ამხ. იუდინის ახალგაზრდათა უბნისა და კომუნისტ ამხ. ტკაჩის უბნის მშენებლებს.

წარმატებით მიმდინარეობს საძირკვლის ფილების დაბეტონება იმ უბანზე, სადაც გაიშვება დონის წყალი კაშხალის ბეტონის ნაგებობებში გატარებით. აქ უკვე სავსებით დამთავრებულია ლითონის შპუნტების ჩასობა, დაგებულია ფილების პირველი იარუსი. ახლა მუშაობა წარმოებს მეორე და მესამე იარუსებზე.

კაშხალის აგება სწრაფად მიიწევს წინ. თითქმის სავსებით დამთავრებულია წყალსაცემის დაბეტონება. დამთავრებულია თევზამწის პირველი და მეორე იარუსების მშენებლობა.

კაშხალის შესართავ ნაწილში, სადაც დონი გადაიხურება, შენდება წყალქვეშა ქვის ჯებირი. მის საფუძველში მშენებლებმა ჩაყარეს 12 ათასზე მეტი კუბური მეტრი ხრეში.

ჰიდროკვანძის მეორე პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის სტახანოვურ საჩუქრებს ამზადებენ აგრეთვე ჰიდრომექანიზატორები, მეექსკავატორეები და მესკრეპერეები.

ნიკოლოზ მაზუროვის მოსიარულე ექსკავატორი

დონის მაგისტრალური არხის ტრასი, 23 ივნისი. (საქდესი). მუშათა დაბა ვოსხოდის სამხრეთ განაპირა ნაწილში № 2 14-კუბიანი მოსიარულე ექსკავატორი სამონტაჟო მოედნიდან გაემართა სანგრევისაკენ. მან ერთი კილომეტრი გზა უნდა გაიაროს. შემდეგ კი დაიწყებს დონის მაგისტრალური არხის ყველაზე ძნელი უბნის გათხრას.

ექსკავატორზე, გარდა მემონტაჟეებისა, რომლებიც მექანიზმებისა და აპარატურის მუშაობას ამოწმებენ, არის მთელი ეკიპაჟი — კომუნისტი ინჟინრის ნიკოლოზ მაზუროვის ბრიგადა. სანამ ბუმბერაზი სანგრევისაკენ მიდის, ეკიპაჟი ემზადება მის მისაღებად, ეუფლება მართვის ტექნიკას. ახალგაზრდა მექანიზატორებთან ერთად აგრეგატზე არის თავისი გამოცდილების გასაზიარებლად აქ ჩამოსული ვოლგა-დონის წარჩინებული მეექსკავატორე — № 1 მოსიარულე ექსკავატორის უფროსი ამხ. უსკოვი. უკვე მოეწყო პირველი პრაქტიკული მეცადინეობა ამხ. მაზუროვის ეკიპაჟთან.

როგორც ზღვაში საფლაგმანო ხომალდი, ისე მიდის ვრცელ ველში გიგანტური მანქანა, რომლის ისრის წვერზე წითელი ალამი ფრიალებს. მექანიკური მიწის მთხრელი დაბიდან სულ უფრო შორს მიდის ველში—სანგრევისაკენ და ტოვებს გატკეპნილ კვალს.

უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

23 ივნისს მოსკოვში უკრაინის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დამთავრების წინადღე იყო. ათასობით მოსკოველმა ნახა უკრაინის საუკეთესო თეატრების სპექტაკლები, მოისმინა კონცერტები ხელოვნების ოსტატების, სახალხო გუნდებისა და ანსამბლების მონაწილეობით, დაესწრო უკრაინელ მწერალთა შემოქმედებითს საღამოებს. სადაც კი გამოდიოდნენ უკრაინელი ხალხის კულტურის წარმომადგენლები, ყველგან მრავალი მაყურებელი იყო. უკრაინის სსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის ოსტატთა შეხვედრა მოსკოვის მშრომელებთან ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციას.

სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის კოლექტივმა ერთხელ კიდევ უჩვენა კომპოზიტორ ა. სვეჩნიკოვის ბალეტი „მარუსია ბოგუსლავკა".

ხარკოვის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის აკადემიური დრამის თეატრმა გუშინ წარმოადგინა ი. კოჩერგას „იაროსლავ ბრძენი", კიევის ივ. ფრანკოს სახელობის უკრაინულმა დრამატულმა თეატრმა—ა. კორნეიჩუკის „ძახილის ჭალა", ლვოვის მ. ზანკოვეცკაიას სახელობის დრამატულმა თეატრმა—„ბორისლავი იცინის" ივ. ფრანკოს მოთხრობის მიხედვით.

დღისით მ. გორკის სახელობის სამხატვრო თეატრში შეიკრიბნენ მოსკოვის ოლქის ქალაქ ორეხოვო-ზუევოს საწარმოთა ახალგაზრდა [illegible] და სტახანოველები. მათთვის კიევის ლესია უკრაინკას სახელობის რუსული დრამის კოლექტივმა წარმოადგინა ა. სუროვის პიესა „მოსკოვის განთიადი". საღამოს ამ თეატრის კოლექტივმა დადგა ლ. ტოლსტოის პიესა „ცოცხალი გვამი".

შეუნელებელი წარმატებით მიმდინარეობს უკრაინის სამხატვრო კოლექტივების კონცერტები. პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გუშინ გამოვიდნენ დამსახურებული სახელმწიფო აკადემიური კაპელა „დუმკა" და უკრაინის სსრ ცეკვების ანსამბლი. მოსკოველთათვის დიდი კონცერტი გამართეს უკრაინის ხელოვნების ოსტატებმა კავშირების სვეტებიან დარბაზში. უკრაინული ხალხური სიმღერების სახელმწიფო გუნდმა თავისი პროგრამა უჩვენა „ერმიტაჟის" საესტრადო თეატრში. „სოკოლნიკის" კულტურისა და დასვენების პარკში გამოვიდნენ ამიერკარპატის ხალხური სიმღერების გუნდი და უკრაინის სსრ რესპუბლიკის [illegible] სახელმწიფო კაპელა. გუშინდელ კონცერტზე მაყურებლები მხურვალე ტაშით შეხვდნენ უკრაინულ და რუსულ ხალხური სიმღერებისა და ხალხური ცეკვების შემსრულებლებს. მქუხარე ტაშს იწვევდნენ სიმღერები, რომლებიც გამოხატავენ საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარულს დიდი სტალინისადმი, სიმღერები, რომლებიც ადიდებენ ჩვენს ძლიერ სამშობლოს.

უკრაინის მწერლები გუშინ შეხვდნენ დედაქალაქის კრასნაია პრესნიას რაიონის მშრომელებს „კრასნაია პრესნიას" კულტურისა და დასვენების პარკში. იქვე გამართა კონცერტი ლვოვის კაპელა „ტრემბიტამ".

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირში მოეწყო უკრაინული საბავშვო ლიტერატურის განხილვა. აქტიორის სახლში მოეწყო კიევის ივ. ფრანკოს სახელობის აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივის შეხვედრა მოსკოვის ხელოვნების მუშაკებთან. განიხილეს სპექტაკლები „მაკარ დუბრავა", „ძახილის ჭალა", [illegible], „ნაზარ სტოდოლია". განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. პოპოვი, რსფსრ რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები [illegible] და ბ. [illegible]. (საქდესი).

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

25 ივნისს თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ნორჩ მკითხველთა, ბავშვკორთა, პედაგოგების, პიონერულ და კომკავშირულ მუშაკთა აქტივის საზეიმო კრება, მიძღვნილი საქართველოს ალკკ ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანოს — გაზეთ „ნორჩი ლენინელის" დაარსების 20 წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზი სადღესასწაულოდ არის მორთული. კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: გ. ზამბახიძე, ი. ზოდელავა, გ. ჯიბლაძე, გ. ფოფხაძე, შ. თათარაშვილი, მ. მეგრელიშვილი, მ. ბურჭულაძე, მ. ქორქიკაშვილი, თ. გელიაშვილი, თ. მათიაშვილი, ი. გრიშაშვილი, რ. მარგიანი და სხვები, პრესის მუშაკები, მოწინავე პიონერები და მოსწავლეები.

საზეიმო კრება გახსნა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. მეგრელიშვილმა.

კრების საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით და მქუხარე ოვაციით ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგებს კ. ჩარკვიანს და ნ. მიხაილოვს.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" დაარსების 20 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა გაზეთის პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. თ. გელიაშვილმა. თავის მოხსენებაში ამხ. გელიაშვილმა ილაპარაკა საქართველოს პიონერთა და მოსწავლეთა საყვარელი გაზეთის — „ნორჩი ლენინელის" მიერ განვლილი გზის შესახებ. მომხსენებელმა მოიყვანა იმის მკაფიო მაგალითები, თუ როგორ ეხმარება გაზეთი კომუნისტურ პარტიას და კომკავშირს კომუნიზმის მშენებელი სახელოვანი თაობის აღზრდაში.

„ნორჩი ლენინელისადმი" მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს თბილისის ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლემ რამაზ პაიჭაძემ, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა თამარ კოპალეიშვილმა, ქალთა მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლემ ლიანა ჭყონიამ, ქალთა 23-ე საშუალო სკოლის დირექტორმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა თამარ მათიაშვილმა, ლ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აქტივის სახელით მანანა ჩაჩიბაიამ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ მარიამ ბურჭულაძემ, პიონერთა და მოსწავლეთა პარკის აქტივის სახელით იზა ნაცვლიშვილმა, პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა.

კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ტაშით მისალმება გაუგზავნა ხალხთა ბელადს დიდ სტალინს. მისალმებანი გაეგზავნათ აგრეთვე ლ. ბერიას, კ. ჩარკვიანს და ნ. მიხაილოვს.

ამხ. მეგრელიშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება გაზეთის მოწინავე თანამშრომელთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. „ნორჩი ლენინელის" 20 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთის რედაქციის სიგელით დაჯილდოებულია 500 ბავშვკორი.

კრებაზე გამოქვეყნებულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმებანი, რომლებიც „ნორჩი ლენინელის" რედაქციამ მიიღო დაარსების 20 წლისთავის გამო.

საზეიმო კრებას ესწრებოდა ნორვეგიის ახალგაზრდათა დელეგაცია, რომელიც თბილისში იმყოფება და რომელსაც კრების მონაწილენი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ.

საზეიმო კრების მხატვრულ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა და პიონერებმა, დედაქალაქის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 22.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი

ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 21 ივნისისათვის 100,3 პროცენტით შეასრულეს საგაზაფხულო გამოკვების აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ამხ. **ხიტირი**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **მანწკავა** და რაიაბრეშუმის გამგე ამხ. წულაძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 22.000 კილოგრამი აბრეშუმის პარკი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აუწყებს დეპუტატებს, რომ დღეს, 26 ივნისს, ძერჟინსკის სახელობის კლუბის შენობაში (ბესიკის ქ. № 4) მოწვეულია

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მე-3 მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესია

დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს ძერჟინსკის სახელობის კლუბში საღამოს 7 საათიდან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის მუშაკების დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გაზეთ „ნორჩი ლენინელის" 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებული არიან გაზეთის რედაქციის შემდეგი განსაკუთრებით წარჩინებული მუშაკები:

1. ბახტაძე გურამ პოლიკარპეს-ძე.
2. გაგლოევა ელენე მიხეილის ასული.
3. გადელია ნადეჟდა ანტონის ასული.
4. გამყრელიძე ნელი ირაკლის ასული.
5. გელიაშვილი თინათინ დავითის ასული.
6. დეკანოზიშვილი დიმიტრი თადეოზის-ძე.
7. დიდიმამიშვილი ელენე ზაქარიას ასული.
8. ნადარეიშვილი თინათინ არსენის ასული.
9. ქოქიაშვილი იოსებ ვლადიმერის-ძე.
10. ცერცვაძე ივანე ნიკოლოზის-ძე.
11. ჰეჰინაძე ლავრენტი ალმასხანის-ძე.

სტალინური ენათმეცნიერების ერთი წელი საქართველოში

საბჭოთა კავშირში, მთელი მსოფლიოს პროგრესულ სამეცნიერო საზოგადოებებსა და წრეებში განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომთა გამოსვლის წლისთავს.

ამ თარიღთან დაკავშირებით ხდება იმ მუშაობის შეჯამება, რაც გაწეულია განვლილი წლის მანძილზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, და ისახება მომავალი სამოქმედო პროგრამა.

ენათმეცნიერებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ მეცნიერებათა შორის, რამდენადაც იგი იკვლევს ადამიანის უდიდეს შემოქმედებას — ენას. ენის მნიშვნელობა მთელი თავისი სიღრმით გვიჩვენა ი. სტალინმა: „ბგერითი ენა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის ძალაა, რომელიც დაეხმარა ადამიანებს გამოჰყოფოდნენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულიყვნენ საზოგადოებად, განევითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოეწყოთ საზოგადოებრივი წარმოება, წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიეღწიათ იმ პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს“ („მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“, გვ. 44). „ენა — ლენინის განმარტებით — ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა“. სტალინის მოძღვრებით „ენა საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“.

ენის ამ განუზომელი მნიშვნელობით აიხსნება, რომ ენის ძირითადი საკითხები კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა. მაგრამ მიუხედავად ენათმეცნიერების თვალსაჩინო განვითარებისა, დღემდე გადაუჭრელი იყო ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: ენის რაობა, ენის წარმოშობა და განვითარება, ენის სპეციფიკა, ენისა და აზროვნების ურთიერთობა და სხვ.

ოცდახუთი წლის მანძილზე ნ. მარის ე. წ. „ახალი მოძღვრების“ მონოპოლიურმა მდგომარეობამ და ამ თეორიის მიმდევართა ნგრევითმა მუშაობამ ისიც სადავო გახადა, რაც მიღწევად ეთვლებოდა ენათმეცნიერებას და რასაც მაღალ შეფასებას აძლევდა ფრ. ენგელსი.

ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტური თეორიის დამცველთა მიერ შემოღებულმა არაკრიტიკულმა რეჟიმმა ჩიხში მოამწყვდია ენათმეცნიერება; შეუძლებელი გახადა მარქსიზმის კლასიკოსთა ფუძემდებელი გამონათქვამებისა და მონოგრაფიული შრომების საფუძველზე მთლიანი საბჭოთა ენათმეცნიერების ჩამოყალიბება.

„პრავდის“ ფურცლებზე გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულმა ი. სტალინის ნაშრომებმა ძირეული გადატრიალება მოახდინა ენათმეცნიერებაში.

განუზომელია ი. სტალინის გენიალურ შრომათა მნიშვნელობა. ისინი შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ.

ამ შრომებში ი. სტალინმა საბოლოოდ გადაჭრა ენათმეცნიერების ყველა ძირითადი საკითხი, რომლებიც სადავო იყო საუკუნეთა განმავლობაში, მყარი საფუძველი ჩაუყარა მარქსისტულ ენათმეცნიერებას.

ენათმეცნიერების პრობლემებთან ერთად ი. სტალინმა ახლებურად დასვა და გასაოცარი სიღრმით გააშუქა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მრავალი ურთულესი საკითხი. ამით გააღრმავა და გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმი.

ეს შრომები ფასდაუდებელი განძია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში.

ი. სტალინმა გამოამჟღავნა ნ. მარის თეორიის ანტიმეცნიერული, ანტიმარქსისტული ბუნება, ცხადყო შეხედულებათა ის წარმოუდგენელი არევ-დარევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ენათმეცნიერებაში. ი. სტალინმა მოხსნა ყველა დაბრკოლება, რომლებიც აფერხებდნენ ენათმეცნიერების განვითარებას.

ი. სტალინის შრომებმა ენათა ღრმა კვლევა-ძიების ფართო პერსპექტივები გადაშალა და მარქსისტული ენათმეცნიერების შენებისა და განვითარების გრანდიოზული პროგრამა დასახა.

ამ შრომებს ღრმა თეორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებისათვის.

ი. ბ. სტალინის კლასიკურმა შრომებმა ენათმეცნიერებაში შექმნა ახალი ეტაპი. ეს ეტაპი სტალინური ეტაპის სახელით არის ცნობილი.

ი. სტალინის ამ ფუძემდებელმა შრომებმა ძირეული გარდატეხა გამოიწვია ენათმეცნიერების ყველა უბანზე. ზოგადი ენათმეცნიერების თეორია, ენათა მეცნიერული შესწავლა და სწავლება ერთბაშად უმაღლეს საფეხურზე იქნა აყვანილი. გაიშალა არნახული მუშაობა. ენათმეცნიერთა კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით იკვლევს ენათმეცნიერების პრობლემებს სტალინის მოძღვრების საფუძველზე.

განვლილი ერთი წელი უჩვეულო აღმავლობის წელი იყო.

1951 წელს ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა ი. სტალინის მოძღვრების საფუძველზე მარქსიზმის პრინციპთა შემოქმედებითი გამოყენებით მოგვცა ფუძემდებელი შრომა ქართული სალიტერატურო ენის შესახებ. მასში ახლებურად დასმულია და ღრმა მეცნიერულად გაშუქებული ქართული ენის განვითარების ხუთი ძირითადი საკითხი. ეს საკითხებია: 1. ერთიანი საერთოეროვნული ქართული ენა და მისი დამკვიდრება მთელ ქართველ ხალხში; 2. ახალი სალიტერატურო ენისა და ქართული ენის დიალექტების ურთიერთობა; 3. ლიტერატურისა და სალიტერატურო ენის მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისება; 4. ახალი ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის ბრძოლა და 5. ახალი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურები, მისი შემდგომი ზრდისა და განვითარების გზები და ამოცანები.

ი. სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად ენათმეცნიერების თეორიის შესწავლის ცენტრმა ჩვენს რესპუბლიკაში — ენათმეცნიერების ინსტიტუტმა—ორი მიმართულებით წარმართა მუშაობა: ერთი მხრივ, გაიშალა მონოგრაფიული შესწავლა ენათმეცნიერების საკვანძო პრობლემებისა ი. სტალინის მოძღვრების მიხედვით, და, მეორე მხრივ, წარმოებდა კრიტიკა ამავე მოძღვრების საფუძველზე ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტური თეორიისა და ბურჟუაზიულ ენათმეცნიერებაში არსებულ იდეალისტურ მიმართულებათა: ფსიქოლოგისტური სოციოლოგიზმისა (დე სოსიური), სტრუქტურალიზმისა და ესთეტიზმისა (ფოსლერი).

ინსტიტუტში ცენტრალურ პრობლემად აღებულ იქნა „სტალინის მოძღვრება ენის შესახებ და ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები“. ამ პრობლემიდან შესწავლილ იქნა საკითხები: სტალინური მოძღვრების ძირითადი დებულებები ენის შესახებ (ენის რაობა, ბუნება, ფუნქცია და სხვ.), ენის განვითარების კანონზომიერება, ენათა დიფერენციაციისა და ინტეგრაციის პროცესები ი. სტალინის შრომების მიხედვით, ენის სპეციფიკა (გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სემასიოლოგიის საგანი და ამოცანები), ენათმეცნიერების დარგები და მათი ურთიერთმიმართება და სხვ.

ინსტიტუტი ამჟამად ინტენსიურად იკვლევს ორ მთავარ პრობლემას. ესენია: ენის განვითარება და ენათა კლასიფიკაცია. დიდმა სტალინმა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლა ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად დასახა. მეორე პრობლემა, რომლის ობიექტს ენათა ნათესაობა და მის კვლევის მეთოდს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი წარმოადგენს, ბელადმა სასარგებლოდ მიიჩნია ენის განვითარების კანონთა შესასწავლად. ეს პრობლემები რთული და დაუმუშავებელია. პირველ პრობლემას მიეძღვნა ორი შრომა.

საგანგებოდ აღსანიშნავია ამ პრობლემასთან დაკავშირებული არნ. ჩიქობავას სახელმძღვანელო შრომა ისტორიზმისა და ენის ისტორიული განვითარების თეორიის საკითხის შესახებ. შრომაში ნაჩვენებია, რომ ისტორიულ ენათმეცნიერებას არ მოეპოვება ენათა ისტორიული განვითარების თეორია, დაუმუშავებელია აგრეთვე ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდიკა და იქვე გარკვეულია როგორც ამ თეორიის დამუშავების აუცილებლობა, ისე მისი საფუძველი ი. სტალინის მოძღვრების მიხედვით.

მეორე პრობლემის შესწავლა წარმოებს მონოგრაფიულად. თავმოყრილია დღემდე არსებული ყველა კლასიფიკაცია და ისინი გაანალიზებულია ი. სტალინის მოძღვრების საფუძველზე. მალე გვექნება ვრცელი მონოგრაფია მსოფლიოს ენათა კლასიფიკაციის შესახებ.

ინსტიტუტში მოქმედი მეცნიერ თანამშრომელთა სემინარი სწავლობს სხვა საკვანძო საკითხებსაც.

ინსტიტუტი იკვლევს სხვადასხვა სისტემის ოცზე მეტ ენას. მათ მრავალფეროვან მონაცემებს, გაშუქებულს ი. სტალინის მოძღვრების საფუძველზე, გარკვეული წვლილი შეაქვს საბჭოთა ენათმეცნიერებაში.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი წერილები ი. სტალინის ენათმეცნიერული მოძღვრების საკითხებზე როგორც ცენტრალურ, ისე ჩვენს პერიოდულ გამოცემებში (სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების მოამბეში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში, ჟურნალ „ბოლშევიკში“, სპეციალურ კრებულში, გაზეთებში).

ინსტიტუტის ორგანოს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ III ტომი მთლიანად მიძღვნილია ი. სტალინის შრომებისადმი.

გამოსაცემად მზადდება არნ. ჩიქობავას ზოგადი ენათმეცნიერების I და II ტომი (ქართულ ენაზე) და II ტომი და ენათმეცნიერების კურსი (რუსულ ენაზე).

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე დიდი სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებაა, სადაც ფართოდ წარმოებს ი. ბ. სტალინის მოძღვრების მეცნიერული შესწავლა და მის საფუძველზე ენათმეცნიერების ძირითად საკითხთა დამუშავება. უნივერსიტეტში გამართულ ორ სამეცნიერო სესიაზე მოსმენილ მოხსენებებში განხილული იყო ენის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის საკითხი, ენის განვითარების, ენის საფუძვლის, ენათმეცნიერების მეთოდებისა და სხვა საკითხები.

სისტემატურად მუშაობს პროფესორ-მასწავლებელთა სპეციალური სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი არნ. ჩიქობავა.

ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკები ენათმეცნიერების საკითხების პოპულარიზაციის მიზნით კითხულობდნენ მოხსენებებს (წაკითხულია 200-ზე მეტი მოხსენება) როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, გორი, სტალინირი და სხვ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ მოაწყო გამსვლელი სესია ქალაქ ქუთაისში. სესია მიეძღვნა ი. სტალინის გენიალური შრომების გამოსვლის წლისთავს. მოხსენებები ეხებოდა ენათმეცნიერების, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის, საქართველოს ისტორიის მთავარ საკითხებს.

აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტმა ი. სტალინის შრომების საფუძველზე საგანგებოდ განიხილა ნ. მარის ბოლოდროინდელ შრომებში გატარებული მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც უარყოფილი იყო აფხაზთა და ქართველ ტომთა ისტორიული ერთიანობა და მათი ენების გენეტური ნათესაობა. სპეციალურ სხდომებზე გაშუქებულ იქნა აფხაზური ენის საკითხები ი. სტალინის მოძღვრების საფუძველზე და დაისახა მუშაობის პერსპექტიული გეგმა.

ი. სტალინის მოძღვრებამ ენის შესახებ ღრმა გარდატეხა გამოიწვია არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ მის მომიჯნავე საზოგადოებრივ მეცნიერებებშიც. პირველ ყოვლისა ეს ეხება ფილოსოფიას, ფსიქოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობას. ბუნებრივია, რომ ამ დარგების ინსტიტუტებმა სპეციალური სამეცნიერო სესიები მიუძღვნეს ენათმეცნიერების სტალინურ მოძღვრებას და იმ ყველაზე უფრო რთულ საკითხებს, რომლებიც ახლებურად დააყენა და გენიალურად გადაწყვიტა ი. სტალინმა.

დიდი სტალინის მოძღვრებაში შემდგომი განვითარება პოვეს ისეთმა კარდინალურმა საკითხებმა, როგორიცაა: ბაზისისა და ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურებები, ენის, როგორც არაზედნაშენური კატეგორიისა და არაკლასობრივი მოვლენის განსხვავება სხვა საზოგადოებრივ მოვლენათაგან, ენის ცვლა თანდათანობითი გზით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ძველი თვისობრიობიდან ახალში გადასვლის კანონი, შემოქმედებითი მარქსიზმის არსი და ხასიათი და სხვ. მარქსიზმის თეორიის ამ არსებითი მნიშვნელობის საკითხებიდან ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე განხილული იყო შემდეგი: ფილოსოფიურ მეცნიერებათა ამოცანები, ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთი საკითხი, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ბაზისისა და ზედნაშენის შესახებ და სხვ.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი ფართოდ ეწევა ი. სტალინის გენიალური იდეების პოპულარიზაციას საზოგადოების ფართო წრეებში.

ი. სტალინის შრომებში ჯეროვანი გადაწყვეტა პოვა ენისა და აზროვნების ურთიერთობის ურთულესმა პრობლემამ. ამ პრობლემას სპეციალური სხდომა მიეძღვნა პროფ. დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. ინსტიტუტმა გაშალა ინტენსიური მუშაობა მეტყველების ფსიქოლოგიის საკითხთა შესასწავლად. აღსანიშნავია ისიც, რომ იქვე წარმოებს წერის სწავლებისა და მხატვრული მეტყველების ფსიქოლოგიის საკითხების დამუშავება. გადამუშავდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოები და სხვ.

ენის საკითხები ძალიან ახლოს დგას ლიტერატურათმცოდნეობასთან. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა სტალინის შრომებისადმი მიძღვნილ სესიაზე რამდენიმე მოხსენება გამოიტანა. მოხსენებებში გაშუქებული იყო ძირითადი საკითხები როგორც ლიტერატურათმცოდნეობისა, ისე საბჭოთა მწერლობისა. ყურადღება გამახვილდა ერთიან საერთო-ეროვნულ ქართულ სალიტერატურო ენაზე.

სტალინის ურყევი დებულებით ენა განუყრელ კავშირშია საზოგადოების ისტორიასთან. ისტორიის საკითხების შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის მონაცემებს და პირუკუ. აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი სტალინის მოძღვრებაზე დაყრდნობით ამუშავებს საკვანძო საკითხებს, როგორიცაა: ქართველი ხალხის უძველესი ისტორიის, საშუალო საუკუნეების საქართველოს ისტორიის, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები და სხვ.

როგორც ცნობილია, ი. სტალინის ადრინდელ შრომებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მათი მეშვეობით გამდიდრდა ქართული ენა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ტერმინებითა და გამოთქმებით. ი. სტალინის მიერ შემოღებული და დამკვიდრებული სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური, ფილოსოფიური ტერმინები და გამოთქმები ყოველდღიურ ხმარებაშია ქართულ ენაში.

ეკონომიკის ინსტიტუტი სწავლობს ი. სტალინის ტერმინებსა და გამოთქმებს და იმის საფუძველზე აზუსტებს ეკონომიურ ტერმინოლოგიას; ამასთან დაკავშირებით იგი იკვლევს საკითხებს მეცნიერული თარგმანისას. ინსტიტუტში წაკითხულმა მოხსენებამ—სტალინი საზოგადოების ეკონომიური წყობილების შესახებ — დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართული ხელოვნების ისტორიამაც განიცადა ნ. მარის თეორიის გავლენა, რამდენადაც იგი ნ. მარის მიმდევრებმა ნივთიერი კულტურის ისტორიასაც თავს მოახვიეს. ი. სტალინის შრომათა ცხოველმყოფელმა ძალამ აქაც გაათავისუფლა ხელოვნებათმცოდნეობა ნ. მარის ცრუმარქსისტული თეორიის გავლენისაგან. ინსტიტუტის საგანგებო სხდომაზე წარმოდგენილ სპეციალურ შრომაში ხელშესახები ფაქტებით იყო ნაჩვენები ი. სტალინის ენათმეცნიერო შრომების დიდი მნიშვნელობა ხელოვნების ისტორიის თეორიული საკითხების შესწავლისათვის.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სტალინის მოძღვრებას ჩვენი საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის. აქ მშობლიური ენა მარტო ძირითადი საგანი კი არ არის, არამედ იგი ამასთანავე საფუძველია მეცნიერებათა საფუძვლებისა და არამშობლიური ენების დაუფლების საქმეში. სკოლა მძლავრი კერაა, რომლის მეშვეობით უნდა დამკვიდრდეს ერთიანი საერთო-ეროვნული ქართული ენა მთელ ქართველ ხალხში. სკოლის მთავარი ამოცანაა წიგნიერი თაობის აღზრდა. ეს ამოცანა ამჟამად ძირითადად გადაწყვეტილია. ი. სტალინის მოძღვრებით განსაზღვრულია როგორც გრამატიკისა და ლექსიკოლოგიის საგანი და მოცულობა, ისე მათი სწავლების მეთოდიკაც. პირველმა ი. სტალინმა გვიჩვენა გრამატიკის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა. ჩვენმა სკოლამ მარტო გრამატიკული ანალიზი და წესების გამოყვანა კი არ უნდა შეასწავლოს მოწაფეობას, არამედ უნდა გამოუმუშაოს ჩვევა გრამატიკის წესების პრაქტიკაში გამოყენებისა. ამ მხრივ გარკვეული მიღწევები მოგვეპოვება. განათლების ორგანოების ხელმძღვანელობით ბევრი რამ გაკეთდა: გადამუშავდა ენისა და ლიტერატურის პროგრამები და მათ საფუძველზე შედგა სახელმძღვანელოები. მასწავლებლები გულმოდგინედ სწავლობდნენ ი. სტალინის კლასიკურ შრომებს ენის შესახებ, მოისმინეს ლექციები გრამატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე, დაიწყო წერილების გამოქვეყნება ქართული ენის სინტაქსიდან და სხვა.

იგივე შეიძლება ითქვას უმაღლეს სასწავლებელთა შესახებ. გამოვიდა ენათმეცნიერებისა და ქართული ენის ახალი პროგრამები, მოსმენილ იქნა სტალინური მოძღვრების საფუძვლები II, III და IV კურსის სტუდენტთა მიერ; გადამუშავდა და მალე გამოქვეყნდება ენათმეცნიერების, ქართული ენის, ფსიქოლოგიისა და სხვა დისციპლინათა სახელმძღვანელოები.

ცოდნის გასაღრმავებლად და სამეცნიერო მუშაობის განსამტკიცებლად გულმოდგინედ მეცადინეობენ ენისა და ენათმეცნიერების სპეციალობის ასპირანტები და საენათმეცნიერო წრის წევრი სტუდენტები (როგორც უნივერსიტეტში, ისე ქუთაისის, გორის, ბათუმის, სოხუმის, სტალინირის, თელავის, ზუგდიდის პედინსტიტუტებში). ისინი ამუშავებენ აქტუალურ თემებს. თემათა უმეტესობა აღებულია ი. სტალინის მოძღვრებიდან ენის შესახებ. ი. სტალინის მოძღვრებისადმი მიძღვნილმა შრომებმა, წაკითხულმა სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, მაღალი შეფასება მიიღო. მოქმედებს ასპირანტთა სემინარი ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ეს ერთი წელი. მაგრამ მაინც ძალიან ცოტაა გაკეთებული იმასთან შედარებით, რაც უნდა გაკეთდეს ი. სტალინის შრომის — „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ — საფუძველზე.

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი მეცნიერები, ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებები, შეიარაღებულნი სტალინური მოძღვრებით, მეცნიერებას აიყვანენ ისეთ სიმაღლეზე, როგორზედაც იგი უნდა იდგეს სტალინურ ეპოქაში, სტალინურ ქვეყანაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროგრესული კაცობრიობის ბელადი, მეცნიერების უდიდესი კორიფე ი. ბ. სტალინი.

პროფესორი ვ. თოფურია

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ს ე ს ი ა

21-22 ივნისს თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ გამოქვეყნების წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა ვ. მაჭავარიანმა.

სესიაზე მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებანი: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ი. შენგელიასი — „ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენაზე, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაზე“, ინგლისური ენის კათედრის გამგის ლ. ლოზოვაიასი — „ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენის გრამატიკული წყობის შესახებ“, მასწავლებელ მ. ფურცელაძისა — „ი. ბ. სტალინის მოძღვრება ენის ლექსიკური შემადგენლობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ“, მასწავლებელ ს. ჩიგუნავასი — „მარქსისტული დიალექტიკის ზოგიერთი საკითხი სტალინური საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით“, მასწავლებელ ნ. რაზიკაშვილისა — „შედარებითი ისტორიული მეთოდი და ნ. მარის ეგრეთ წოდებული ოთხელემენტოვანი ანალიზის კრიტიკა“, დოცენტ ვლ. ფანჩვიძისა — „გრამატიკული კატეგორიის არსის საკითხისათვის ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების მიხედვით“.

სტალინის მონუმენტი კოლმეურნეობაში

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ აცანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა კოლმეურნეობის კანტორის ახალი შენობის აგება. კანტორის ეზოში მოეწყო ლამაზი სკვერი, რომელშიც დაიდგა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მონუმენტი.

პ ა რ ტ ი უ ლ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ღამის ცვლის აგიტატორები

ღამის ცვლაში მომუშავე საქსოვი საამქროს მეექვსე ბრიგადის მუშებმა შესვენებისას აგიტატორ ვ. მაჭავარიანთან მოიყარეს თავი. საუბარი ივნისის საწარმოო გეგმის შესრულებას შეეხებოდა. აგიტატორმა ანალიზი გაუკეთა წინა თვის მუშაობას და თვალნათლივ უჩვენა მსმენელებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითეული მუშის ბეჯით შრომას საერთო წარმატებისათვის.

საუბარმა აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. სტახანოველმა მქსოველმა კომკავშირელმა ეთერ სოლომონიამ აღნიშნა, რომ მის დაზგას ხშირად უხარისხო ძაფს აძლევენ. რამდენიმე საათის განმავლობაში დაზგაზე სხვადასხვა ხარისხისა და ფერის ძაფი ჩნდება. ამის გამო მქსოველი იძულებული ხდება ხშირად განზრახ გაწყვიტოს ძაფი, რაც იწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას და აქვეითებს შრომის ნაყოფიერებას. ასეთ პირობებში მუშაობს მთელი ბრიგადა. ამის გამო ე. სოლომონიას უჭირს ახალი ასორტიმენტის ქსოვილის გამოშვება, რომლის ათვისება ახლახან დაიწყო.

ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ნ. გოგლიძე, რომელიც საუბარს ესწრებოდა, მქსოველებს დაჰპირდა, რომ პარტიული ორგანიზაცია ფაბრიკის ადმინისტრაციასთან ერთად ამ საკითხს მოაგვარებდა; გარდა ამისა, მან აცნობა მუშებს, რომ ფაბრიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ზომების შედეგად მახარაძისა და წულუკიძის ძაფსადები ფაბრიკებიდან ამიერიდან დაუბრკოლებლივ მიიღებენ ძაფს და აღარ იქნება დაზგა-დანადგართა მოცდენის შემთხვევები.

მუშებმა ბევრი საინტერესო კითხვა დასვეს, რომლებზეც აგიტატორმა ამომწურავი პასუხი გასცა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ღამის ცვლის მუშებთან 25 აგიტატორი მართავს საუბრებს. აგიტატორთა შორის არიან მქსოველები, ძაფის მხვეველები, ინჟინრები, ტექნიკოსები. აგიტატორები ღრმად სწვდებიან თვითეული მუშის ცხოვრებას, იცნობენ მათს საწარმოო წარმატებებს, საერთო კუთვნილებად ხდიან მოწინავეთა გამოცდილებას, ზრუნავენ ჩამორჩენილთა დაწინაურებისათვის და სხვ.

აგიტატორების ინიციატივით ფაბრიკაში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა. მოსამზადებელი საამქროს ცალკეულ ბრიგადებში იყო შეფერხებები. ეს საკითხი ფაბრიკის პარტბიუროს წინაშე პირველად საქსელე განყოფილების ღამის ცვლის აგიტატორმა, მქსელავმა ნ. ბარათაშვილმა დააყენა. გამოირკვა, რომ მოსამზადებელი საამქრო ზოგჯერ დროულად ვერ ამარაგებდა საქსოვ საამქროს საჭირო ნედლეულით, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა გამომუშავების ნორმების შესრულებაზე. პარტბიურომ და ფაბრიკის დირექციამ სასწრაფოდ მიიღეს ზომები, რის შედეგადაც მოსამზადებელი საამქროს მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ხშირად სახვევი განყოფილება ვერ აკმაყოფილებდა საქსელე განყოფილების მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ დანადგართა მოცდენას იწვევდა. აგიტატორმა ნ. ბარათაშვილმა განყოფილების მოწინავე მუშებთან ერთად (ნ. ჩიტაძე, ნ. მელიქიძე, ნ. ნადირაძე) საკითხი სახვევი განყოფილების უფროსის ი. გიორგობიანის წინაშე დააყენა. მიღებული ზომების შედეგად მდგომარეობა გამოსწორდა.

სტახანოველი მქსელავი აგიტატორი ნ. ბარათაშვილი საამქროში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია. იგი გამომუშავების ნორმებს 130-140 პროცენტით ასრულებს. სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შედეგს ყველაზე ადრე იგი აცნობს მუშებს, სისტემატურად ეწევა მოწინავეთა მეთოდების პოპულარიზაციას, ამისათვის კარგად იყენებს საამქროს კედლის გაზეთს, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიც თვითონ არის.

საინტერესოდ მოაწყვეს საგიტაციო მუშაობა ღამის ცვლის აგიტატორებმა — სახამებელი განყოფილების გამგემ ი. დოლიძემ, მოსამზადებელი საამქროს ცვლის ოსტატმა თ. ჩუბაშვილმა, მრავალდაზგოსანმა მქსოველმა ე. მეხრაძემ, სარემონტო ბრიგადის უფროსმა ე. სტურუამ და სხვ.

აგიტატორთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა ფაბრიკის პარტბიურო (მდივანი ნ. გოგლიძე). თვეში სამჯერ-ოთხჯერ ეწყობა აგიტკოლექტივის მეცადინეობა. აგიტატორები აქ ისმენენ ლექციებს საერთაშორისო საკითხებზე, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე. რამდენიმე ლექცია გაიმართა მეოთხე ხუთწლედის შესრულების საკითხებზე და სხვ. აგიტკოლექტივის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვა და აგიტატორის ამოცანები, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, აგიტატორის როლი პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში. აგიტკოლექტივის სემინარებზე ხშირად ისმენენ მოწინავე აგიტატორთა საუბრებს მათი გამოცდილების შესახებ. ეწყობა აზრთა გაცვლა, დადებითი გამოცდილების განზოგადება. გარდა ამისა, ფაბრიკის ახალგაზრდა მუშებისათვის წარმოების სპეციფიკურობის გაცნობის მიზნით აგიტკოლექტივის გეგმაში მრავალი საინტერესო საკითხია შეტანილი. მაგალითად, რას ნიშნავს პროდუქციის თვითღირებულება, დაზგა-დანადგართა მოვლა-პატრონობის მნიშვნელობა. და სხვ. მუშებისათვის წარმოების ტექნიკის გასაცნობად პარტბიურო იყენებს ფაბრიკის ინჟინრებს, ეკონომისტებს, ტექნიკოსებს და სხვ.

აგიტატორებისადმი ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აგიტატორებისათვის იშვიათად ეწყობა მოხსენებანი საგიტაციო მუშაობის მეთოდების შესახებ. ამ ნაკლის გამოსწორება ადვილად შეიძლება. ფაბრიკის პარტბიუროს, საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ვალია უკეთესად მოაწყონ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, განსაკუთრებით იზრუნონ ღამის ცვლაში საგიტაციო მუშაობის სისტემატურობისა და მაღალი თეორიული დონისათვის.

მ. ვარდოსანიძე

პარტიული მუშაკები ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას

გორი. (საკ. კორ.). გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით პარტიის გორის რაიკომი სისტემატურად აწყობს საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარებს, თათბირებს. ამ დღეებში რაიკომმა ჩაატარა გამსხვილებულ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნის ამხ. ალ. ყველაშვილის მოხსენება — კოლმეურნეობაში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

კარგად მოაწყო მეჯვრისხევის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ კოლმეურნეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სისტემატურად იმართება ლექციები, პოლიტიკური მოხსენებები. კოლმეურნეობაში კარგად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. ყველა კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი ჩაბმულია პოლიტიკურ სწავლებაში. გაუმჯობესდა პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, მომზადებულად იწვევენ პარტიულ კრებებს. კომუნისტები სათავეში უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას და ენერგიულად შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით მოუთხრო თათბირის მონაწილეებს ამხ. ყველაშვილმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა მ. კურტანიძემ, გ. ცერცვაძემ, ა. ლომსაძემ, ა. ჯანგიშერაშვილმა, რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგემ ო. თავყელიშვილმა, რაიკომის მდივანმა მ. მასურაძემ და სხვებმა.

მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის ფილიალში

1 ივნისიდან 15 ივნისამდე მიმდინარეობდა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდები საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის მედიცინის მუშაკთა ფილიალში.

გამოცდებისათვის კარგად მოამზადა ფილიალის დირექცია (დირექტორი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ცერცვაძე). ერთი თვით ადრე შეიქმნა საგამოცდო კომისიები. დაწესდა პროფესორ-მასწავლებლების მორიგეობა კონსულტაციის გასაწევად, გამოიკრა საგამოცდო ცხრილი და სხვ.

გამოცდებზე დაშვებულ იქნა 400 სტუდენტი, მათ შორის უნივერსიტეტი ფრიადი და კარგი წარმატებით დაამთავრა 100 კაცმა. მარტო დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმში (ლექტორები დოცენტები ვ. კილაძე, ხ. ქორიძე, გ. ასათიანი) 200-მდე კაცმა მიიღო ფრიადი შეფასება.

მსმენელთა შორის ყველა საგნის საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნეს მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწეებმა, პროფესორებმა ე. აბოლმა, ი. სიხარულიძემ, ვ. როსტომბეკოვმა, ექიმებმა კლარა გეგეშიძემ, იუნონა ჟორდანიამ, ლილი ხიმშიაშვილმა, ნათელა ქაცარავამ, გ. ნემსაძემ, ს. კეჟუმაძემ, მ. ერისთავმა და სხვებმა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ჩემი პირველი ლექსები“

ადამიანს მეხსიერებაში სამუდამოდ რჩება პირველი ლექსები, რომლებიც მას ბავშვობაში უსწავლია. ზოგს „დედაენაში“ წაუკითხავს ისინი, ზოგს კი მანამდეც შეუთვისებია, ვიდრე ანბანში გაერკვეოდა.

სწორად მოიქცა საბლიტგამი, რომ შეკრიბა საუკეთესო საბავშვო პოეტური ნაწარმოებნი და ნორჩ მკითხველს მიუძღვნა „ჩემი პირველი ლექსების“ სახელწოდებით.

წიგნი იხსნება ლექსით „დილა“, რომელიც ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის კალამს ეკუთვნის. დიდმა ილიამ „ივერიაში“ დაბეჭდა ეს ლექსი, ხოლო შემდეგ იგი, როგორც ქართული საბავშვო პოეზიის ბრწყინვალე ნიმუში, გოგებაშვილის „დედაენაში“ შევიდა. დაუვიწყარია ამ ლექსის სტრიქონები:

> აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
> ილხინე, ივერთ მხარეო,
> და შენც, ქართველო, სწავლითა
> სამშობლო გაახარეო.

წიგნში შეტანილია აკაკი წერეთლის ლექსები „ყმაწვილი და პეპელა“, „მელა და ყურძენი“, რომლებიც მრავალი თაობის ასეულ ათასობით ბავშვს უსწავლია ზეპირად.

აკაკის ქმნილებებს გვერდს უმშვენებენ ილია ჭავჭავაძის საბავშვო ლექსები „გაზაფხული“ და „ჩიტი“.

ნორჩი მკითხველები წიგნში იპოვნიან მშობლიური პოეტების — ვაჟა ფშაველას, რაფიელ ერისთავის, დუტუ მეგრელის, გიორგი ჰალადიდელის, იოსებ დავითაშვილის, თედო რაზიკაშვილის, შიო მღვიმელის, გიორგი ქუჩიშვილის, პ. ცახელის შესანიშნავ ლექსებს.

ძველი ხალხური პოეზიის მრავალი მარგალიტია შესული წიგნში: „ყაყაჩო და ყმაწვილი“, „ვაშლი და შაქარა“, „ქორი“, „საწყალი მელა“, „კურდღლის სიზმარი“, „მეცხვარე“, „ტოროლა“ და „მოწვევა სწავლაზე“. ეს უკანასკნელი ბავშვთათვის გადააკეთა დიდმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა.

რაოდენი აზრი და ძალაა ამ ერთსტროფიან ლექსში: „ყაყაჩოსა სიწითლითა ყანა დაუმშვენებია, ყმაწვილსა კარგი სწავლითა სახლი გაუხარებია“. მხოლოდ ჭეშმარიტად ბავშვთა გულის მესაიდუმლეს შეეძლო შეექმნა ლექსი „ვაშლი და შაქარა“, რომელიც გოგებაშვილის „დედაენიდან“ არის ამოღებული.

ნორჩი მკითხველები ასეთივე სიყვარულით წაიკითხავენ ლექსებს, რომელთა ავტორები ქართველი საბჭოთა პოეტები არიან.

აი პოეტ ი. გრიშაშვილის ამაღელვებელი ლექსი „დიდ სტალინს პატარა გორელებისაგან“:

> მთელ ქვეყანას უყვარხარ...
> ჩვენ სად უნდა გეძიოთ!
> რა იქნება, ძვირფასო,
> ერთხელ გორსაც ეწვიო.

გიორგი ლეონიძე თავის ნორჩ მკითხველებს მოუთხრობს ბუდაპეშტის პიონერთა ბანაკში მისი ყოფნის ამბავს. პოეტი ეკითხება სლოვაკ გოგონას: სად გაიზარდე? ვინა გყავს მამა? ამ კითხვაზე პატარა პიონერი ასე მიუგებს:

> მე ფაშისტებმა მომიკლეს მამა,
> და ვიზრდებოდი წვიმახთან, ქართან...
> ვინ იყო მამა?
> ეჰ, როდი, მახსოვს,
> მამა არ ვიცი, სტალინის გარდა.

დიდი სტალინის სამშობლო ქალაქ გორზე ასე ამბობს ირაკლი აბაშიძე: „პატარა გორი დიდია, ბევრის მომსწრე და მნახველი, ქვეყნებში რეკავს ზარივით მისი ქართული სახელი“.

გრიგოლ აბაშიძის ლექსის გმირი ამაყად აცხადებს: „ალბათ მიხვდებით რად მიყვარს მე ქართლის მზე და ყანები; იქ დაიბადა სტალინი, მის აკვანს ვეთაყვანები“. მოსაწონია იმავე პოეტის ლექსები „ზამთარი“ და „ციცინოს პარადი“.

ბავშვებისადმი ულრმესი სიყვარულით არის გამთბარი გიორგი კაჭახიძის, რევაზ მარგიანის, იოსებ ნონეშვილის, ალეკო შენგელიას, მაყვალა მრევლიშვილის, გიორგი შატბერაშვილის და სხვათა ლექსები, რომელთა თემა მრავალფეროვანი და მოზარდთათვის მეტად საინტერესოა.

კარგია აგრეთვე ილია სიხარულიძის ლექსი „ზღვა და ლალი“, მაგრამ სრულიადაც არ იყო საჭირო მისივე სუსტი ლექსის „მესაზღვრეების“ შეტანა რჩეულ საბავშვო ნაწარმოებთა კრებულში. არნო ონელს უნდა დაეხვეწა თავისი ლექსის „სამი მეგობრის“ შემდეგი ადგილი: „სამშობლო, იავნანა, ბალი, მინდორი, ყანა, — **დღეს უფრო, ვიდრე მანამ,** თვალმომხიბლავად ჩანან“.

სიყვარულით უმუშავნია წიგნის რედაქტორს ამხ. თ. გელიაშვილს. მხოლოდ ერთი საყვედური უნდა ვუთხრათ მას: კრებულში ზოგიერთი ავტორი ზედმეტი გულუხვობით არის წარმოდგენილი. ეს მაშინ, როცა გამოტოვებულია რამდენიმე შესანიშნავი ქართველი პოეტი, რომელთაც მრავალი საუკეთესო საბავშვო პოეტური ნაწარმოები აქვთ.

სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა გაუწევია მხატვარ შალვა ცხადაძეს, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის ილუსტრაციები. ჩანს: მხატვარი ღრმად იცნობს ბავშვთა სულიერ სამყაროს. მაღალი ოსტატობით არის გაფორმებული წიგნის გარეკანი, კარგია ილუსტრაციები ლექსებისა: „დილა“ „საყვარელო სამშობლო“, „ჯერ—შრომა, მერე—ხტომა“, „გულიკო“, „ყმაწვილი და პეპელა“.

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიგრაფგამომცემლობის პირველი სტამბის (დირექტორი ამხ. ი. ცაგარეიშვილი) მუშაკებს საკმაოდ არ უზრუნიათ იმისათვის, რათა ეს საინტერესო საბავშვო წიგნი უზადოდ დაებეჭდათ. განსაკუთრებით ცუდად არის გამოსული სურათები, ხშირად ვერც კი გაარჩევთ, რა არის დახატული სურათზე.

ხუტა ბერულავა

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის ახალი წიგნები

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ამ დღეებში ოსურ ენაზე გამოსცა ვასო სანაკოევის ახალი წიგნი. წიგნში შესულია პიესები „განთიადი“, „ოდესღაც გარიყულნი“, მოთხრობები „ბრძოლა“, „მწყემსები“ და პოემა „მწყემსის სიმღერა“.

ახლახან გამოიცა აგრეთვე პოეტ ილია პლიევის ახალი ლექსებისა და პოემების კრებული „სამშობლო“.

უჯარმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის პირველი ბრიგადის ხორბლის ხაშრობი კალო.

სურათზე: (მარჯვნიდან) კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ს. ბუჯიაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ავაზაშვილი და სტახანოველი კოლმეურნე რუსუდან ქანდაურაშვილი ამოწმებენ ხათუხლე ხორბალს.

ფოტო რ. აკოფოვისა

დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გაძლიერდეს

ლაგოდეხელებმა უკვე აიღეს მოსავალი 4.000 ჰექტარზე. აღების ტემპს აჩქარებს კომბაინების საათობრივი გრაფიკით მუშაობა. ამ მხრივ მისაბაძია ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის (დირექტორი პ. ქემოკლიძე) მაგალითი. აქ ყველა კომბაინერს აქვს გეგმა-მარშრუტი და საათობრივი გრაფიკით მუშაობს. ყველას გაუსწრო კომბაინერმა ალექსი რაბუშკინმა, რომელმაც ულიანოვკის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობის პირველ 9 დღეში 110 ჰექტარი აიღო. უხვად მოდის ხორბალი ვასილ რუეიცკის ბრიგადაში. ამ ბრიგადის 65 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი ხორბალი გალეწეს. ვ. რუეიცკის ბრიგადას არ ჩამორჩება ი. შაოშვილის ბრიგადა, რომელსაც 121 ჰექტარი პურეული უთესია.

კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა დაიწყო სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარება და პირველმავე შეასრულა სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარების გეგმა. ახლა ხორბალს აბარებენ ნატურსაზღაურის ანგარიშში. დიდი ყურადღება ექცევა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლას, 150 კოლმეურნე დღეში 2-3 ტონა თავთავს აგროვებს. ხელით მკელები მ. კაპანაძე, რ. ხარშილაძე, რ. ციცუაშვილი, აბრამ და თამარ იოსებაშვილები დღეში 1.500-2.000 კვადრატულ მეტრ ფართობს მკიან.

მოსალოდნელზე ბევრად მეტი მოსავალი მიიღო კოლმეურნეობა „შრომის“ მეორე ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი სტეფანე ბესაშვილი მეთაურობს. ბრიგადას 83 ჰექტარი ხორბალი უთესია. მოსავლის აღების პირველ დღეს 5 ჰექტარზე 160 ცენტნერი ხორბალი მიიღეს, ხოლო შემდეგ აღებული 29 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25,5 ცენტნერი. ასეთსავე შედეგებს მიაღწიეს ამ კოლმეურნეობის ბრიგადირებმა გრ. ბიწაძემ და ნ. ქშუტაშვილმა.

პურის კარგი მოსავალია სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში. ფარნაოზ ხუნაშვილი „კომუნარის“ მარკის კომბაინით დღეში 10-12 ჰექტარზე იღებს ხორბალს.

მოსავლის აღების პირველ დღეებში შემჩნეულია სერიოზული ნაკლოვანებანიც. სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალს უგეგმოდ იღებენ, დანაკარგების წინააღმდეგ არ იბრძვიან. ისეთ ნაკვეთში, სადაც ყოველ კვადრატულ მეტრზე 15-20 თავთავია, კოლმეურნე იასონ ბესტაევმა ხარები შეუშვა. მომკელების დ. კაჩმაზოვის და მ. გიგოლაევის ნამუშევრის აღრიცხვა არ ხდება. ბრიგადირი დ. გიგოლაევი მათ საკუთარი „გადაწყვეტილებით“ ურიცხავს შრომადღეებს. თავთავების აკრეფა არ ხდება აგრეთვე ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის ხაზარაშვილის ბრიგადაში. დაცული არ არის სახანძრო წესები.

სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის ცუდი მუშაობის შედეგად ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი გ. კალაშვილი ხშირად მოცდენილია. მაგალითად, 16 და 17 ივნისს ტომრები არ მიიტანეს და ამ მიზეზით კომბაინი 6 საათს გააცდინეს. კომბაინზე მიმაგრებულ ავტომანქანას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. რაზმაძემ დინამო მოხსნა და კომბაინი 4-5 საათს მოაცდინა.

მოუმზადებელ ნაკვეთში დაიწყო პურის მკა ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობამ, სადაც კომბაინერი 5-10 კვადრატულ მეტრზე ტოვებს მოუმკელ ყანას. შეუწყნარებელია ისიც, რომ „ნეფტესბიტის“ წნორის განყოფილებაში (დირექტორი შ. ჩერქეზიშვილი) 10-დან 16 ივნისამდე მომარაგებული არ ჰქონდათ ბენზინი. ეს ნაკლოვანებანი სწრაფად უნდა გამოსწორდეს.

გ. ქაჯრიშვილი
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

დაიწყო მოსავლის აღება

დუშეთი. (საკ. კორ.). რაიონში წელს ხორბლეული კულტურების უხვი მოსავალია. მალე ხორბლის აღება მასობრივად გაჩაღდება.

მოსავლის შერჩევით აღება რაიონში პირველმა დაიწყო ლამოვანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ. პირველ დღეს 4 ჰექტარი პურეული აიღეს.

თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 20-22 ცენტნერი მარცვლეული.

რუსთავის მშენებლობაზე

მექანიზმებს წარმატებით იყენებენ, დანერგეს სამეურნეო ანგარიში

რუსთავის ბინათმშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი ა. ზამთარაძე) გასული წლის საგეგმო დავალება ვერ შეასრულა და საშენი მასალების დიდი გადახარჯვა დაუშვა. ეს იმის შედეგი იყო, რომ სამმართველო ვერ ახერხებდა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვას, სამშენებლო მექანიზმებისა და ინსტრუმენტების სრული დატვირთვით გამოყენებას. ამასთან მშენებლებმა ვერ შეძლეს შრომის სწორად მოწყობა, კადრების შესაფერისად გამოყენება და ა. შ.

წელს ბინათმშენებლებმა გარდაქმნეს მუშაობა. მშენებლებმა მთავარი ყურადღება საშენ მასალათა მომჭირნეობით ხარჯვას მიაქციეს. მშენებლობის თვითეულ უბანს, ხოლო უბანზე თვითეულ ბრიგადას, საშენი მასალა ეძლევა მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასთან ზუსტი შეფარდებით. ამ ღონისძიების განხორციელებით მშენებლებმა მიმდინარე წლის მარტო 5 თვეში 100.000 მანეთამდე ღირებულების საშენი მასალა დაზოგეს.

საშენ მასალათა მომჭირნეობით ხარჯვას ხელი შეუწყო მშენებლობაში რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ დანერგვამ. მაგალითად, ინჟინრების შ. ნათენაძისა და ა. ზამთარაძის წინადადებით სართულთაშორისო და ჭერქვეშა გადახურვისას კოჭებ შუა ფიცრების ჩაწყობა შეცვალეს მზა ფარების ჩალაგებით. ფარები მზადდება დახერხილი ხე-ტყის ნარჩენებისაგან და მათი გამოყენება მშენებლებს წელიწადში 53.200 მანეთის ეკონომიას აძლევს.

წინათ ტუფის ქვის დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენების ერთ მესამედზე მეტი უშედეგოდ იკარგებოდა. ინჟინერ ა. გოგიტაშვილის ინიციატივით ტუფის ქვის ნარჩენებს დაფქვეს, ურევს ცემენტი და ცოტაოდენი საღებავი. ამ ნაზავს ათავსებენ სპეციალურ ხის ყალიბებში და გამოშრობის შედეგად იღებენ სასურველი ფორმის ტუფის ხელოვნურ ქვას. ამ წინადადების განხორციელებით მშენებლები 42.000 მანეთ წლიურ ეკონომიას მიიღებენ.

ბინათმშენებლები დიდ ყურადღებას აქცევენ სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციას. წელს მშენებლები ფართოდ იყენებენ ვერტიკალურ ამწევებს. სამშენებლო ობიექტებზე ძველი ტიპის ამწევები შეცვლილია კოშკურა ამწევებით, რითაც 20-მდე მემანქანე, რომელთა წლიური ხელფასი 144.000 მანეთს აღწევდა, განთავისუფლებულია სხვა მშენებლობაზე გამოსაყენებლად. კოშკურა ამწეთი შესაძლებელი ხდება საშენი მასალების 20 მეტრის მანძილზე ჰორიზონტალურად გადატანა, ხოლო 20 მეტრზე მუშახელით ერთი ტონა ტვირთის გადატანა მეტად ძვირი ჯდება. კოშკურა ამწეს შეუძლია გადაიტანოს 53.000 ტონა ტვირთი, რაც წელიწადში 204.000 მანეთის ეკონომიას უდრის. აღსანიშნავია, რომ ერთი ტონა ტვირთის გადატანა კოშკურა ამწეთი ძველი ტიპის ამწესთან შედარებით 36 კაპიკით ნაკლები ჯდება, რაც თავის მხრივ წელიწადში 19.000 მანეთის ეკონომიას უდრის. ამრიგად, კოშკურა ამწევების გამართვის შედეგად მიღებული წლიური ეკონომია სულ 325.000 მანეთს მიაღწევს.

მშენებლებს გადაწყვეტილი აქვთ წელს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელების შედეგად სულ ცოტა 624.000 მანეთის ეკონომია გასწიონ.

მიღწეულია შრომის ორგანიზაციის საგრძნობი გაუმჯობესება. ხდება ცალკე გაფანტულ მშენებლობათა ერთ ადგილზე კონცენტრირება, ჩამოყალიბებულია არმატურის საამქრო, რაც მშენებლებს ნარჩენი მასალების მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას და დიდ ეკონომიას აძლევს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშენებელი კადრების მომზადებას, რაც ბინათმშენებლებს უადვილებს სამშენებლო პროგრამის გადაჭარბებით შესრულებას.

ყველა ამ ღონისძიების შედეგად რუსთავის ბინათმშენებლებმა მიმდინარე წლის 5 თვის სამშენებლო პროგრამა 17,5 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულეს და მთელი ბინათმშენებლობის თვითღირებულება 187.000 მანეთით შეამცირეს.

ბინათმშენებლობის სამმართველო წელს შეუდგა ბრიგადების გადაყვანას სამეურნეო ანგარიშზე. 3 სამშენებლო უბანი დაჰყვეს 9 სამეურნეო ერთეულად, თვითეულ სამეურნეო ერთეულს მიჩენილი აქვს თავისი სამშენებლო ობიექტი, დაზუსტებული გეგმით, ხელფასის ფონდით, საჭირო მასალათა რაოდენობით, სატრანსპორტო ხარჯებისათვის საჭირო თანხით და სამშენებლო მექანიზმებით. სამეურნეო ანგარიშის დანერგვამ მშენებლებს უკეთ მუშაობის სტიმული მისცა.

გ. ბელაშვილი
ა. გვასალია
„კომუნისტის“ კორესპონდენტები

წყალთა მეურნეობის ძირითად სამუშაოთა შესრულება

(საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს 20 ივნისის ცნობებით)

რაიონების დასახელება	ნახევარი წლის გეგმის შესრულება %-ბით: მიწის სამუშაოები	ბეტონისა და ქვის სამუშაოები	ინჟინრულ ნაგებობათა დამზადება	რაიონების დასახელება	ნახევარი წლის გეგმის შესრულება %-ბით: მიწის სამუშაოები	ბეტონისა და ქვის სამუშაოები	ინჟინრულ ნაგებობათა დამზადება
გორის	184	335	284,4	მცხეთის	37,8	4,4	6
თელავის	70,7	212	138,3	ბოლნისის	0	50,5	80
წულუკიძის	27,5	265	666,7	ვანის	0	20	12
ბორჯომის	90	—	—	ახალქალაქის	88	0	0
მიაკოვსკის	71,4	225	0	დუშეთის	21,5	2	—
მარნეულის	183,9	—	33,3	ასპინძის	35,8	0	0
სამტრედიის	0	0	333,3	ახალციხის	12,5	0	0
ქარელის	130,2	0	15	ადიგენის	2,2	0	0
საგარეჯოს	4,4	174	0	კასპის	0	0	—
ხაშურის	99	0	0	გეგეჭკორის	0	0	—
კასპის	53,7	0	15,3	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	22,2	4,4	15
აბაშის	0	0	46,7				

კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა

(კორეაში აგრესიული ომის დაწყების წლისთავის გამო)

25 ივნისს ერთი წელი შესრულდა კორეაში საომარი მოქმედების დაწყებიდან. თორმეტი თვეა კორეელი ხალხი გმირულ ბრძოლას ეწევა უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ იბრძვიან არა მარტო ლი სინ მანის მარიონეტული ჯარები და ამერიკელი ინტერვენტები, არამედ ინგლისის, თურქეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სატელიტი ქვეყნების ჯარის ნაწილები. ამერიკული იარაღით აღჭურვილი ინტერვენტები ანადგურებენ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, ბარბაროსულად ჰკლავენ კორეელ ქალებსა და ბავშვებს, ხოცავენ მოხუცებსა და ავადმყოფებს, იჩენენ უმაგალითო სისასტიკეს, მაგრამ მიზანს მაინც ვერ აღწევენ — კორეელი ხალხი გმირულად იცავს თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას.

კორეის სახალხო არმიასთან ერთად უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ იბრძვიან ჩინელი მოხალისეები. ჩინელი ხალხის ძმური დახმარება ის უშრეტი წყაროა, რომელიც კორეის სახალხო არმიას უძლეველ არმიად აქცევს.

ცნობილია, რომ კორეის სახალხო არმიამ ჩინელ მოხალისეთა ძმური დახმარებით ნოემბერ-დეკემბერში დაამარცხა და ჩრდილოეთ კორეიდან გააძევა უცხოელი ინტერვენტები. ამის შემდეგ ამერიკელი იმპერიალისტები დიდხანს იმუშავებდნენ ჭრილობებს, გადაჰყავდათ ახალი ძალები, თავს უყრიდნენ ყველა სახის იარაღს. 25 იანვარს მათ დაიწყეს შეტევითი ოპერაციები. 2½ თვეს გრძელდებოდა იმპერიალისტური არმიის ეს შეტევა. ამერიკელი განგსტერები ფრონტის გარღვევის მიზნით მომწამვლავ ნივთიერებათა გამოყენებასაც არ მოერიდნენ. გააფთრებული იერიშებისა და დიდი ზარალის შედეგად მათ მოახერხეს გადაელახათ 38-ე პარალელი და რამდენადმე წინ წაეწიათ. ამ ბრძოლებში აგრესორებმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგეს 90.000-ზე მეტი კაცი, ხოლო 26.868 ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ იქნა წამოყვანილი; ჩამოგდებულია მტრის 421 თვითმფრინავი, ჩაძირულია 18 გემი. სახალხო არმიის მებრძოლებმა მოსპეს ან წამოიღეს მტრის 262 ტანკი, 14 ჯავშნიანი მანქანა, 1.403 ქვემეხი, 501 ნაღმსატყორცნი, 991 ტყვიამფრქვევი, 17.803 შაშხანა, 55 რადიოსადგური. წარმომადგენელთა პალატის წევრი რეაქციონერი ალბერტ გორი ტრუმენს სწერდა „კორეა ამერიკის ადამიანთა რესურსების ხორცსაკეპად გადაიქცაო“.

ამ ვითარებაში, 11 აპრილს, გამოქვეყნდა ტრუმენის განცხადება გენერალ მაკარტურის გადაყენების შესახებ. პრეზიდენტმა ტრუმენმა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კრიზისი მაკარტურს გადააბრალა და იგი განტევების ვაცად გახადა. მაკარტურის მოხსნის მთავარი მიზეზი თითქოს ის იყო, რომ იგი თვითნებურად მოქმედებდა და მოითხოვდა ომის გადატანას ჩინეთის ტერიტორიაზე, ტრუმენი კი თითქოს მშვიდობის მომხრეა და არა სურს ომის გაფართოება. მაგრამ ყველამ იცის, რომ ტრუმენი აღფრთოვანებული იყო მაკარტურის „სტრატეგიით“. დიდი დრო როდი გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი თვითონ ეწვია გენერალს კუნძულ უეიკზე. მაკარტური ვაშინგტონთან შეუთანხმებლად როდი მოქმედებდა. ამიტომ იყო, რომ მოხსნილი გენერალი დოკუმენტების გამოქვეყნებით დაემუქრა პრეზიდენტს.

ამერიკის შეიარაღებული ძალები დამარცხდნენ პატარა კორეაში, რის იმედით შეუძლიათ იბრძოლონ ჩინეთის ვრცელ ტერიტორიაზე? ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს ახალი ომის გამჩაღებლებს.

ამერიკელი იმპერიალისტები თავს მაინც არ ანებებენ ავანტიურისტულ ღონისძიებათა განხორციელებას. ტრუმენმა განაცხადა, რომ სარდლობის შეცვლა არ ნიშნავს შეერთებული შტატების პოლიტიკის შეცვლას კორეის მიმართ. გენერალი რიჯუეი აკეთებს იმას, რასაც მისი წინამორბედი აკეთებდა — ბარბაროსულ ომს ეწევა კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ათასობით ამერიკელ ახალგაზრდას ღუპავს ამ უსამართლო ომში.

22 აპრილს კორეის სახალხო არმიამ ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ახალი იერიში განავითარა მტრის ჯარების წინააღმდეგ, გაარღვია ფრონტი და სამი დღის ბრძოლების შედეგად წინ წაიწია დაახლოებით 40 კილომეტრით. რიჯუეი დიდ იმედს ამყარებდა თავის არტილერიასა და ავიაციაზე. ავიაცია ყოველდღიურად 1.000-მდე თვითმფრინავგაფრენას ახდენდა, მაგრამ ტექნიკამ გასაჭირისაგან ვერ იხსნა ამერიკელები. განმთავისუფლებელმა არმიამ 38-ე პარალელის სამხრეთით გადარეკა დამპყრობნი და ცალკეულ უბნებზე 30 კილომეტრამდე მიუახლოვდა სეულს.

ინგლისის ერთ-ერთი ბურჟუაზიული გაზეთი კორეაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების დამარცხების გამო წერდა: „ორი დიდი სახელმწიფოს ძლიერ შეიარაღებული და მექანიზებული ჯარები, რომლებიც სარგებლობენ უდავო უპირატესობით ჰაერში და ზღვაზე, მაგრამ უკან იხევენ მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარის მასის წინაშე, — ეს არის სანახაობა, რომელსაც ვერც აზია დაივიწყებს და ვერც ევროპა“.

ამერიკელ იმპერიალისტთა სავალალო მდგომარეობას ითვალისწინებდა რეზოლუცია, რომელიც ჯონსონმა შეიტანა 17 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების სენატში. სენატორმა ჯონსონმა მოითხოვა 25 ივნისიდან შეეწყვიტათ კორეაში საომარი მოქმედება. მან აღნიშნა, რომ ამ ომმა უკვე იმსხვერპლა 1 მილიონზე მეტი ადამიანი. იგი მიუთითებდა მბჟუტავ ცეცხლზე, რომელიც შეიძლება ხანძრად იქცეს, იხსენიებდა მონროს დოქტრინას, რაც აზიის მიმართ ნიშნავს — „აზია აზიელებისათვის“.

საკითხავია, როდის აქეთ გახდნენ ამერიკელი სენატორები ასეთი ქველმოქმედნი? საქმე ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულმა პოლიტიკამ აზიაში კრახი განიცადა. აზიის ხალხებმა გამოიღვიძეს. არა მარტო აზიის, არამედ ახლო აღმოსავლეთის ხალხებიც ხმას იმაღლებენ მონური მორჩილების წინააღმდეგ. ახლოვდება მსოფლიოში კოლონიური რეჟიმის აღსასრული. ამას მოწმობს ვიეტნამის, მალაიის, ფილიპინების, ინდონეზიის ხალხთა ბრძოლა, ინდოელი ხალხის გამოფხიზლება, ირანელი ხალხის გაბედული მოქმედება.

სულ უფრო იზრდება მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხის შეგნება და სიმპათია დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აზიელი ხალხებისადმი. ინდოეთში უკვე იქმნება მოხალისეთა რაზმები კორეელი ხალხის დასახმარებლად. პირველ ასეთ რაზმს 1.000 კაცის შემადგენლობით ინდოეთის მთავრობამ კორეაში წასვლის ნება არ მისცა. ამის გამო მოხალისეთა რაზმმა წერილით მიმართა ნერუს. წერილში ნათქვამია:

„აზია გულდამშვიდებით ვეღარ მოისმენს წივილ-კივილს კორეელი ქალებისა და ბავშვებისას, რომლებსაც ხოცავენ. კორეის ბრძოლა თავისუფლებისათვის მთელი აზიის საქმეა. ინდოეთის მთავრობამ ხელი არ უნდა შეგვიშალოს დავღვაროთ სისხლი ამ წმიდა ბრძოლაში“.

ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ თავი დააღწიონ შორეულ აღმოსავლეთში მათი საგარეო პოლიტიკის მწვავე კრიზისს, ყველა საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რომ თავი ძლიერად გაასაღონ. მათ დიდი ძალები დარაზმეს და 23 მაისს დაიწყეს ახალი შეტევა. ეს წინ უსწრებდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მარშალის ჩასვლას კორეაში. მთელი ძალების დაძაბვით კვლავ აიძულეს სახალხო არმია უკან დაეხია. ბრძოლა კვლავ 38-ე პარალელის ჩრდილოეთით გადაიტანეს. მაგრამ სახალხო არმიამ ჩინელი მოხალისეების დახმარებით უდიდესი ზარალი მიაყენა ინტერვენტებს, ხელიდან გამოაცალა ყველა უპირატესობა და ნიადაგი მოამზადა ახალი შეტევითი ოპერაციებისათვის. გენერალი რიჯუეი გრძნობს, რომ ახლოვდება მისი შეიარაღებული ძალების აღსასრული. ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან, რომ სატელიტმა ქვეყნებმა გაუგზავნონ საზარბაზნე ხორცი. მაგრამ სატელიტ ქვეყნებსაც მოსწყინდათ ამ უსამართლო ომში საზარბაზნე ხორცის წარამარა გზავნა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს ამერიკელ იმპერიალისტებს. ცნობილია, რომ 18 მაისს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესების შესახებ. ცდილობენ გარესამყაროს მოსწყვიტონ ჩინელი და კორეელი ხალხები. მაგრამ არის სამყარო, რომელთანაც იმპერიალისტებს ხელი არ მიუწვდებათ. ეს არის თავისუფლების სამყარო, მშვიდობისა და დემოკრატიის დიდი ბანაკის სამყარო.

გააფთრებული ამერიკელი ინტერვენტები ათასგვარ სისაძაგლეს მიმართავენ კორეელი ხალხის წინააღმდეგ. იყენებენ ნაპალმისა და დაყოვნებული მოქმედების ბომბებს, განურჩევლად ბომბავენ ქალაქებსა და სოფლებს. მაგრამ ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ ისინი ომს ეწევიან კორეელი ბავშვების წინააღმდეგ: თვითმფრინავებით ყრიან ლამაზ ბურთებს, ავტომატურ კალმებსა და სხვა სათამაშოებს, რომლებიც ფეთქდება უდანაშაულო ბავშვების ხელში. ასეთი მუხანათური მკვლელობით მხოლოდ ამერიკელ განგსტერებს შეუძლიათ ამაყონ.

„რომ შეიძლებოდეს დღევანდელი კორეისათვის თვალის გადავლება, — თქვა საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა ჰაკ ღენ აიმ, — წარმოგვიდგებოდა ამერიკელი განგსტერების მიერ მთლიან ნანგრევებად გადაქცეული ქვეყანა. ეს საშინელი სურათი სასტიკი საბრალდებო აქტია იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ. მაგრამ ცეცხლით ფერფლად ქცეული, ყუმბარითა და ტყვიით დაცხრილული კორეა მტრისთვის მრისხანე და მიუვალ ბასტიონად რჩება“.

ახლოვდება კორეელი ხალხის საბოლოო გამარჯვების დღე. სრულდება ამხანაგ სტალინის სიტყვები: „თუ ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ უარყვეს ჩინეთის სახალხო მთავრობის სამშვიდობო წინადადებანი, ომი კორეაში შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ინტერვენტების დამარცხებით“.

აქ. ჩაჩლეიშვილი

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 23 ივნისი. (საქტეს). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ყველა ფრონტზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ ბრძოლას ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებისა და ლისინმანელთა არმიის წინააღმდეგ. სახალხო არმიისა და ჩინელ მოხალისეთა წარმატებითი მოქმედების შედეგად მტრის შეტევა შეჩერებულია მთელ ფრონტზე.

22 ივნისს ღამით სახალხო არმიის ღამის ბომბდამშენებმა წარმატებით დაბომბეს სამხედრო ობიექტები მტრის ზურგში.

ფხენიანი, 24 ივნისი. (საქტეს) კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 24 ივნისის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით გაფთრებულ ბრძოლებს აწარმოებენ ფრონტის ერთ-ერთ უბანზე.

გუშინ აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩანჯონის ახლოს, ჩაძირულ იქნა მტრის სამი გემი. დღეს თვითმფრინავთა გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 10 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

სახალხო შურისმგებლები

ფხენიანი, 23 ივნისი. (საქტეს). გაზეთმა „ნოდონ სინმუნმა" გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ცნობა სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის რაიონში პარტიზანთა საბრძოლო მოქმედების შესახებ.

ამ რაიონში განუწყვეტლივ იზრდება სახალხო შურისმგებელთა რიგები. ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანებთან ერთად იბრძვის ულსანის ახალგაზრდა გვარდიელთა რაზმიც. პარტიზანთა რაზმი ლი დონ კას ხელმძღვანელობით დახმარებას უწევს სახალხო არმიის ნაწილებს, რომლებიც ფრონტზე იბრძვიან, შლის მტრის კომუნიკაციებს, თავს ესხმის ამერიკელთა და ლისინმანელთა გარნიზონებს, საპყრობილეებიდან ათავისუფლებს კორეელ პატრიოტებს. პარტიზანთა რაზმის საბრძოლო მოქმედების რაიონი განუწყვეტლივ ფართოვდება.

ამ დღეებში პარტიზანებმა შეაჯამეს მტრის ზურგში თავიანთი ორი თვის ბრძოლის შედეგები. ამ ხნის განმავლობაში 28 ბრძოლა მოხდა ოკუპანტების წინააღმდეგ. პარტიზანებმა შეიპყრეს ხალხის ოთხ უბოროტეს მტერზე, რომლებიც გლეხებს ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ. სახალხო სასამართლოს განაჩენით ისინი სიკვდილით დასაჯეს.

ლი დონ კას რაზმის პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი სამხედრო დავლა, მათ შორის ტყვიამფრქვევები, ნაღმსატყორცნები, შაშხანები, ავტომატები, ხელის გრანატები და სხვა იარაღი. ლისინმანელთა ჯურღმულებიდან განთავისუფლებულია 2.500 პატრიოტი. პარტიზანებმა ლისინმანელებს წაართვეს და მოსახლეობას დაუბრუნეს გლეხებისათვის უკანონოდ ჩამორთმეული პირუტყვი, მარცვლეული და სხვ.

იტალია ამერიკის შეერთებულ შტატებს უთმობს ლივორნოს ნავსადგურს

რომი, 24 ივნისი. (საქტეს). რომის გაზეთი „ტემპო" იუწყება, რომ იტალიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაიდო შეთანხმება, რომ ამერიკელებმა ლივორნოს ნავსადგური გამოიყენონ „ავსტრიასა და გერმანიაში ამერიკელთა ჯარების მომარაგების ბაზად".

„იტალიის მთავრობამ,—წერს გაზეთი,—ნება დართო ამერიკელებს გამოიყენონ ამ ნავსადგურის განსაზღვრული რაიონი, აგრეთვე ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გამოყოფილ იქნება საწყობებისათვის. თავის მხრივ იტალიის მთავრობამ იკისრა ვალდებულება ამერიკის მთავრობის განკარგულებაში გადასცეს იტალიის საკომუნიკაციო ხაზები... გარდა ამისა, იტალიის მთავრობა მიანიჭებს ამერიკის მთავრობას განსაკუთრებულ შეღავათებს რკინიგზით სატრანზიტო ტვირთზიდვისათვის".

როგორც გაზეთი აღნიშნავს, „ლივორნოში უკვე ჩამოვიდნენ მთელი რიგი ტექნიკური და სამხედრო სპეციალისტები, რომლებსაც დავალებული აქვთ მოამზადონ ყველაფერი, რაც საჭიროა ნავსადგურის გამტარუნარიანობის ვადიდებისა და მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეთანხმება დადებულია ჩრდილოეთ-ატლანტიკის პაქტის ფარგლებში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესია

სოფია, 24 ივნისი. (საქტეს). დღეს მუშაობა დაამთავრა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სესიამ. საბოლოო სხდომაზე აღმასკომმა ერთხმად დაამტკიცა რეზოლუცია კარმენ სანტის მოხსენების გამო „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენციის მომზადების შესახებ".

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესიამ დაადგინა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო კონფერენცია მოეწყოს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ამა წლის 18-დან 23 სექტემბრამდე, აგრეთვე გაძლიერდეს ყველა ქვეყანაში ამ კონფერენციისათვის მზადება.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მიმართვა მთელი მსოფლიოს ქალებისადმი

სოფია, 24 ივნისი. (საქტეს). გუშინ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სესიაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა მიმართვა მსოფლიოს ქალებისადმი, რომელშიც ნათქვამია:

მშვიდობა ახლა ისეთ საფრთხეშია, როგორშიც არასოდეს არ ყოფილა. ომი, ნგრევა, მოსახლეობის მოსპობა, რაც ამჟამად კორეაში ხდება, ცხადყოფს, თუ რა მოუვათ ბავშვებს, ქალებსა და მამაკაცებს, მთელ მსოფლიოში რომ ახალი ომი ატყდეს.

შეშფოთებული დედები კითხულობენ, თუ როგორ შეიძლება ხელი შევუშალოთ მთელ მსოფლიოში ომის, ნგრევისა და მწუხარების გავრცელებას.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელიც ასეულ მილიონობით ქალისა და მამაკაცის ნებას გამოხატავს, მშვიდობის გზას გვიჩვენებს თავის მიმართვაში მშვიდობის პაქტის დადების შესახებ:

„ვეხმაურებით რა მილიონობით ადამიანის მისწრაფებას მთელ მსოფლიოში, როგორიც უნდა იყოს მათი აზრი მსოფლიო ომის საფრთხის წარმომშობი მიზეზების შესახებ;

მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით;

ჩვენ მოვითხოვთ მშვიდობის პაქტის დადებას ხუთ დიდ სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებულ შტატებს, საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის.

თითოეული ამ დიდი სახელმწიფოს მთავრობის უარს იმაზე, რომ მოხდეს შეხვედრა მშვიდობის პაქტის დადების მიზნით, ჩვენ განვიხილავთ როგორც ამ მთავრობის აგრესიული ზრახვების დადასტურებას.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანას მხარი დაუჭირონ მოთხოვნას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, რის შესაძლებლობაც აქვს ყველა სახელმწიფოს.

ჩვენ ხელს ვაწერთ ამ მიმართვას და მოვუწოდებთ ყველა კეთილი ნების ადამიანს და ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მშვიდობის განმტკიცებას ესწრაფვიან, ხელი მოაწერონ ამ მიმართვას".

ჩვენ, სხვადასხვა ქვეყნის ქალები, შევიკრიბენით რა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის აღმასკომის სესიაზე, ხელს ვაწერთ ამ მიმართვას და მოვუწოდებთ ყველა ქალს ხელი მოაწერონ მას.

ჩვენ ვეუბნებით ყველა ქალს, ყველა დედას, რომ მათი ოჯახების დაცვა მათსავე ხელშია, რომ მშვიდობა შეიძლება ვიხსნათ.

მხოლოდ ხალხების მოქმედებას შეუძლია გზა გადაუღობოს ომს.

თქვენი სახელით მილიონობით ქალისა და მამაკაცის სახელთან ერთად აიძულებს ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენლებს დადონ მშვიდობის პაქტი.

მოაწერეთ ხელი მშვიდობის პაქტის დადების სასარგებლოდ.

მიმართვას ხელს აწერენ:

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარე—ეჟენი კოტონი (საფრანგეთი).

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეები:
დოლორეს იბარური (ესპანეთი)
ნინა პოპოვა (სსრ კავშირი)
ევგენია პრაგეროვა (პოლონეთი)

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი — მარი-კლოდ ვაიან-კუტიური (საფრანგეთი), გიბრი კეუ (ალბანეთი), ელი შმიდტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ლუიზა ერნსტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ედიტ ხომეკი (ავსტრია), ფრიდელ ლედვონი (დასავლეთი გერმანია), ერნა ლუციუსი (დასავლეთი გერმანია), ელეონორა აგიარ ვასკესი (არგენტინა), ცოლა დრაგოიჩევა (ბულგარეთი), რადა ტოდოროვა (ბულგარეთი), ვერა ნაჩევა (ბულგარეთი), ცვეტანა კირანოვა (ბულგარეთი), ემილიენა ბრენფო (ბელგია), მარი გისი (ბელგია), სესილ ბურგუსი (ბელგია), სარა პასკუალი (კუბა), ხუსტინა ალვარესი (კუბა), კანდელარია როდრიგესი (კუბა), ოი დე-ჩუანი (ჩინეთი), ლუ ცინ-იანი (ჩინეთი), ზაი ლანი (ჩინეთი), ჩი იუ-ნი (ჩინეთი), ლი კუნი (ჩინეთი), პაკ დენ აი (კორეა), კონ კუი სენი (კორეა), ნორა როდი (კანადა), აგნეტე ოლსენი (დანია), ინგერ ნორდენტოფტი (დანია), ირენე ფალკონი (ესპანეთი), კარმენ პინედო (ესპანეთი), ხელვი ლი ინე (ფინეთი), ალ მანტიკოსკი (ფინეთი), კლოდინ შემა (საფრანგეთი), ფრანსუაზა ლეკ-ლერკი (საფრანგეთი), ჟულიეტა დიუბუა (საფრანგეთი), ნიკოლ ალფანდერი (საფრანგეთი), სუზანა რუბაკინი (საფრანგეთი), სიმონა ბერტრანი (საფრანგეთი), ჟიზელ ჟოანესი (საფრანგეთი), აიურა პარცალიდისი (საბერძნეთი), მარიამ კალინი (საბერძნეთი), ელი ალექსიუ (საბერძნეთი), მაგდა იობორიუ (უნგრეთი), ელიზაბეტ ვაში (უნგრეთი), სტანისლავა ზავადეცკაია (პოლონეთი), ედვარდა ორლოვსკაია (პოლონეთი), ნელ ბუდევინი (ჰოლანდია), ნაჰიდ სინა (ირანი), გიტა ბენერჯი (ინდოეთი), მარიამ მადალენა როსი (იტალია), კარმენ სანტი (იტალია), ელზა ბერგამაში (იტალია), ფიორელა დელა სეტა (იტალია), ლილიანა ვივიანი (იტალია), ნორჯენ ლხამა (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა), ნამარაიჯაბი (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა), კონსტანცა კრანჩუნი (რუმინეთი), ანა ლუნგუ (რუმინეთი), ვალერია მელეგი (რუმინეთი), ნატალია სკურტუ (რუმინეთი), ანდრეა ანდრეენი (შვეცია), ანეჟკა გოდინოვა-სპურნა (ჩეხოსლოვაკია), ანა შლეხტოვა (ჩეხოსლოვაკია), ანტონინა ტუმოვა (ჩეხოსლოვაკია), ირენ დეროშოვა (ჩეხოსლოვაკია), მილუშა სვატოშოვა (ჩეხოსლოვაკია), მარიამ ბერნეტიჩი (ტრიესტი), ნადეჟდა პარფენოვა (სსრ კავშირი), ლიდია პეტროვა (სსრ კავშირი), ზინაიდა გაგარინა (სსრ კავშირი), ბეატრისა ს. ჯონსონი (ამერიკის შეერთებული შტატები).

სუეცის არხის ნაციონალიზაციის მოთხოვნა

კაირო, 23 ივნისი. (საქტეს). როგორც კაიროს გაზეთი „ალ-მისრი" იუწყება, ეგვიპტელი ახალგაზრდობის ჯგუფმა (ჟურნალისტები, იურისტები და სხვ.) შექმნა მოსამზადებელი კომიტეტი სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის ნაციონალიზაციის მოთხოვნის მიზნით.

საორგანიზაციო კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება—მოსთხოვონ ეგვიპტის მთავრობას, რომ იგი დაეპატრონოს კომპანიას და უხელმძღვანელოს მას ეგვიპტელი ხალხის ინტერესებისათვის; თავიდან აიცილოს შუა აღმოსავლეთში შეტევითი სამხედრო ოპერაციების სამხედრო ბაზად სუეცის არხის გადაქცევა; ხელი შეუშალოს არხში ისეთი გემების გავლას, რომლებიც დატვირთული იქნება საომარი მასალებით ან რომლებზეც იქნება ერთ-ერთი იმ ხალხთან საბრძოლველად გაგზავნილი ჯარები, რომლის წინააღმდეგაც იმპერიალისტები ილაშქრებენ.

ინდოეთს ჩავიდა ხორბლით დატვირთული საბჭოთა გემი

დელი, 23 ივნისი. (საქტეს). პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, რომ კალკუტის ნავსადგურში ჩავიდა კიდევ ერთი საბჭოთა გემი „ვილნიუსი", რომელმაც 6.315 ტონა ხორბალი ჩაიტანა ინდოეთში.

ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხისათვის

პარიზი, 23 ივნისი. (საქტეს). ფრანს-პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან გადმოგვცემს:

ოფიციალურად იუწყებიან, რომ ირანის ხელისუფლებმა 23 ივნისს დილით ხელში აიღეს ინგლის-ირანის ნავთის კომპანიის ნავთსარეწები და ნავთსახდელი ქარხანა შაჰაბადში, რომელიც ქალაქ ქერმანშაჰის ახლო მდებარეობს.

აგრარული რეფორმა ჩინეთში

პეკინი, 23 ივნისი. (საქტეს). გაზეთი „გუანმინჟიბაო" იუწყება, რომ მიმდინარე წლის ივნისში ხენანის პროვინციაში დამთავრდა აგრარული რეფორმის განხორციელება. უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შორის, რომლებიც პროვინციის მოსახლეობის 60 პროცენტს შეადგენენ, განაწილებულია 18.900 ათასი მუ (1 მუ უდრის $1/_{16}$ ჰექტარს) სახნავი მიწა. თვითეულმა გლეხმა მიიღო 2-5 მუ მიწა.

გარდა ამისა, მემამულეებს კონფისკაციის წესით ჩამოერთვათ 334.675 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 311 მილიონი ძინი მარცვალი (1 ძინი უდრის 0,5 კილოგრამს) და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. ყოველივე ეს გლეხებს გადაეცა. 7.930 ათასი მოჯამაგირე და ღარიბი გლეხი, რომლებიც წინათ ჩალის ქოხმახებში აფარებდნენ თავს, უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი შენობებით.

აგრარული რეფორმის განხორციელების დროს პროვინციის მთელი გლეხი მოსახლეობის 30-დან 40-მდე პროცენტი გლეხთა კავშირებში შევიდა. პროვინციის 10.700 სოფელში შექმნილია სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი საარჩევნო ორგანოები, რომლებშიც შევიდა 100 ათასამდე სოფლის აქტივისტი და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელი.

დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების საგანგებო ყრილობა

ბერლინი, 23 ივნისი. (საქტეს). ესენში გაიხსნა დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების საგანგებო ყრილობა.

პროფკავშირთა მემარჯვენე ხელმძღვანელობამ უარი თქვა შეეტანა დღის წესრიგში რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი. კერძოდ უარყოფილ იქნა შტუტგარტის 60 ათასი მეტალისტი მუშის წინადადება ყრილობის დღის წესრიგის პირველ პუნქტად დაესვათ საკითხი: „მშრომელთა საარსებო მდგომარეობის გაუარესება და ბრძოლა ხელახალი შეიარაღებისა და რემილიტარიზაციის წინააღმდეგ". ყრილობის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ყრილობის მონაწილეთა განსახილველად წარედგინა საკითხი დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების კონგრესის პოზიციის შესახებ სამხედრო კურსის მიმართ, რასაც ადენაუერის მთავრობა ახორციელებს, და საკითხი რემილიტარიზაციაზე თანმიმდევრული უარის თქმის შესახებ.

ყრილობის გახსნასთან დაკავშირებით ესენის მთელი პოლიცია დილიდანვე გამზადებული იყო ბრძოლისათვის. მას დაევალა მშრომელთა დელეგაციები არ მიეშვა შენობასთან, სადაც დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა ყრილობა მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ასეულმა მუშამ დემონსტრაცია გამართა იმ შენობის წინ, რომელშიც ყრილობა მიმდინარეობს. დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები და ტრანსპარანტები, რომელთა წარწერებიც მოუწოდებდნენ ყრილობის დელეგატებს — იბრძოლონ პროფკავშირების განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ახალი ომის თავიდან აცილებისათვის და შუმანის გეგმის განხორციელების წინააღმდეგ.

ადენაუერის პოლიციის სპეციალური რაზმები მიესივნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს. პოლიციელებმა მხეცური მეთოდები გამოიყენეს, გარეკეს დემონსტრაციის მონაწილენი და დააპატიმრეს 30-ზე მეტი მშრომელი.

[...] ივნისს [...] გაიხსნა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს წყალჯომარდობის სადგური. სადგურს აქვს კეთილმოწყობილი სანაოსნო ბაზა საცურაო ბილიკებით, 3 და 5-მეტრიანი კოშკურებით, დასასვენებელი ოთახით და სხვა.

სპორტსმენებს მიესალმა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსი გ. ხიზარულიძე. სასპორტო ზეიმი გაიხსნა კანჯოთი ცურვით. აქ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და კალინინის სახელობის ქარხნის სპორტსმენები. ფინიშთან პირველი მივიდა ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს კანჯო. შემდეგ გაიმართა მახორბლიც შეჯიბრება სხვადასხვა მანძილზე ცურვასა და კოშკურიდან ხტომაში.

სურათზე: წყალჯომარდობის სადგურის სახტომი კოშკურა.

ფოტო რ. აკოფოვისა

★

მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის გასტროლები ჭიათურაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). 22 ივნისს აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში საგასტროლო წარმოდგენები დაიწყო თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის კოლექტივმა.

თეატრი უჩვენებს თავის საუკეთესო დადგმებს. აქ ნაჩვენები იქნება გ. ნახუცრიშვილის „სოჭმებუკე ბელადისა", გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველი", აკ. წერეთლის „ბაში-აჩუკი" (ინსცენირებული ა. კუჭუხიძის მიერ), გ. ბერძენიშვილის „მედნიერებისაკენ", გ. გოგიჩაიშვილის „ნათელი გზა" და გ. ნახუცრიშვილის „კომბლე".

გასტროლების პირველ დღეს წარმოდგენილი იყო გ. ნახუცრიშვილის „სოჭმებუკე ბელადისა".

საგასტროლო წარმოდგენებს მაყურებელი გულთბილად ხვდება.

სპექტაკლის „ხარატაანთ კერას" განხილვა

ქუთაისი. (ჩვენი კორ.). 20 ივნისს ქუთაისის მასწავლებელთა სახლში მოეწყო საგასტროლოდ მყოფი კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლის „ხარატაანთ კერას" განხილვა. შესავალი სიტყვა წარმოთქვა მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა გ. სამხარაძემ. მოხსენება მიხეილ მრევლიშვილის პიესის „ხარატაანთ კერის" დადგმის შესახებ გააკეთა ამხ. პ. ხმალაძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ რობაქიძემ, დ. ცხვირაშვილმა, მსახიობმა დ. ქუთათელაძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ და სპექტაკლის დამდგმელმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ჩხარტიშვილმა.

დასასრულ მხატვრული ნაწარმოებები წაიკითხეს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებმა დ. ქუთათელაძემ და გ. ყიფშიძემ. მსახიობებმა ე. მაღალაშვილმა, ფ. სონღულაშვილმა, ა. ვერულეიშვილმა და გ. ყიფშიძემ წარმოადგინეს სცენები სპექტაკლიდან „ხარატაანთ კერა".

სპექტაკლის განხილვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში

პროფესორ ს. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის (ტროპიკულ სნეულებათა) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი 28-29 ივნისს იწყობს მორიგ მეშვიდე სამეცნიერო სესიას.

სხდომები შედგება ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის აუდიტორიაში (ლუნაჩარსკის ქ. № 12) საღამოს 8 საათიდან.

რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობები კოლმეურნეობებში

თელავი. (საკ. კორ.). ყვარის კოლმეურნეობა „მოწინავის" წევრები 23 ივნისს „ქაქრებში" მკიდნენ პურს. ამ დღეს მოსავალი 30 ჰექტარზე აიღეს. მევენახეები ვაზის ძირების გამოთოხნას აწარმოებდნენ, ზოგნი კი ხენაზე მუშაობდნენ. აქ ჰექტარზე საშუალოდ 80 ცენტნერი ყურძენს მოელიან.

დღის 4 საათზე ოთხასზე მეტი კოლმეურნე ტოტებგაშლილი ასწლოვანი მუხის ქვეშ შეიკრიბა. მათ ერთი საათი უნდა დაესვენათ აქ მათ დახვდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობები. სტალინური პრემიის ლაურეატის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკაკი ხორავას ხელმძღვანელობით მსახიობებმა კოლმეურნეებისათვის კონცერტი გამართეს.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სტალინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ვასაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ემ. აფხაიძემ, თ. ჭავჭავაძემ, მ. ხიბლაძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ალ. აფხაიძემ, დ. ხუციშვილმა, გ. კობაძემ და ივ. ჯავახიშვილმა; მსახიობებმა თ. თევზაძემ, დ. ვეკუამ და სხვებმა.

კონცერტს კოლმეურნეობის ბევრი მოწინავე ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ სოციალისტური შრომის გმირები სოლომონ პაატაშვილი, გაბრიელ ჰურღულაშვილი, ლენინის ორდენოსანი გაბრიელ ლამაზაშვილი და სხვები. მათ კოლმეურნეთა სახელით მადლობა გადაუხადეს რუსთაველის თეატრის მსახიობებს.

24 ივნისს რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებმა კონცერტები გამართეს კონდოლისა და ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობებში. კონცერტებს 800-მდე კოლმეურნე დაესწრო.

რუსთაველის თეატრის მსახიობები კონცერტებს გამართავენ აგრეთვე ვარდისუბნის, რუისპირის, იყალთოს, კურდღელაურის და სხვა კოლმეურნეობებში.

ფეხბურთი

კვირას, 24 ივნისს, მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი შეხვდა დედაქალაქის „ტორპედოს" გუნდს. მატჩი მოიგეს არმიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1.

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — „სპარტაკი" და „ვვს"-ი. მატჩი მოიგო „სპარტაკის" გუნდმა ანგარიშით 3:1. გორკის „ტორპედოს" და სამხედრო-საჰაერო ძალების (მოსკოვი) გუნდების მატჩი, რომელიც შედგა გორკში, დამთავრდა ფრედ—0:0. ფრედ დამთავრდა აგრეთვე (1:1) ლენინგრადის „ზენიტისა" და მოსკოვის „დინამოს" გუნდების შეხვედრაც.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. ნანიტაშვილი**

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

27 ივნისს

6.45 — ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი. 9.20 — ქართული საოპერო მუსიკა. 18.10 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და სიმღერები. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კონცერტი ახალგაზრდა შემსრულებელთა მონაწილეობით 20.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 21.30 — კამერული მუსიკის კონცერტი. 21.55 — კონცერტი რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებიდან. 22.40 — ა. ჩერნენკოს მოთხრობა: „კომუნიზმის ნიშანდობლები". 23.00— კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის—„ამბავი ტარიელისა" (ზეზონის დახურვა); მარჯანიშვილის სახელობის —„პატიოსნებისათვის" (ც. ერისთავის სახელობის გორის თეატრის სპექტაკლი); გრიბოედოვის სახელობის—„ალისი" (სომხური თეატრის სპექტაკლი); სომხური დრამის—„ვერაგობა და სიყვარული" (მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლი); მუსიკალური კომედიის— „ბრწყინვალე მომავალი".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი" (საზამთრო დარბაზი), „კომკავშირელი" (საზაფხულო დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (საზამთრო დარბაზი), „კოლხიდა" (საზაფხულო დარბაზი)— „სპორტული ღირსება"; „სპარტაკი", „ოქტომბერი", კიროვის სახელობის, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო დარბაზი), „დიდუბე" (საზაფხულო და საზამთრო დარბაზი)—„ფოლადის ჯარისკაცი"; „ამირანი" (საზამთრო დარბაზი), „თბილისი"—„რაიკომის მდივანი".

თბილისის სამხატვრო აკადემია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1951-52 სასწავლო წლისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და მხატვრული კერამიკის ფაკულტეტებზე.

აკადემიაში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: ავტობიოგრაფია, საშუალო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი (დედანი), სამი ფოტოსურათი (უქუდოდ ზომით 3X4 სანტ.). შემომსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს აგრეთვე პასპორტი და სამხედრო ბილეთი (თუ თადარიგის სამხედროვალდებულია) ან მიწერის ცნობა (თუ გასაწვევი ასაკისაა).

მისაღები გამოცდები იწარმოებს: სპეციალურ საგნებში, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

საერთო განათლების დისციპლინებში უგამოცდოდ მიიღებიან: ა) ის პირნი, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო სკოლა ოქროს ან ვერცხლის მედლით, ან საშუალო სამხატვრო სასწავლებელი ფრიადოსნის ატესტატით და ბ) სამამულო ომის მონაწილენი, რომელთაც საშუალო სკოლა დაამთავრეს ფრიადოსნის ატესტატით, მიუხედავად საშუალო სკოლის დამთავრების წლისა. სპეციალურ დისციპლინებში მისაღები გამოცდების ჩაბარება სავალდებულოა ყველასათვის.

განცხადებები მიიღება 20 ივლისამდე ყოველდღე, გარდა გამოსასვლელი დღეებისა, 9-დან 17 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

აკადემიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 22.

1951 წლის 28 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კლუბის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 2) გაიხსნება საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-2 პლენუმი.

დღის წესრიგი:

1. წითელწყაროს რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობისა და მირზაანის ნავთის წარმოების მუშათა სამედიცინო მომსახურების შესახებ.
2. 1950 წლის პროფბიუჯეტის შესრულებისა და 1951 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.
3. 1950 წლის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შესრულების და 1951 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაზეთ „კომუნისტის" 23 ივნისის ნომერში მოთავსებულ 1951-52 სასწავლო წლისათვის სტუდენტების მიღების განცხადების დასაზუსტებლად აცხადებს:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ჰიდროტექნიკური მშენებლობის სპეციალობა ქართული სექტორია.
2. სამთო ფაკულტეტის მადნეულთა ბუდობების დამუშავების სპეციალობა ქართული და რუსული სექტორებია.
3. მექანიკური ფაკულტეტის ტრაქტორთმშენებლობის სპეციალობა ქართული სექტორია.
4. მეტალურგიული ფაკულტეტის ლითონების წნევით დამუშავების სპეციალობა ქართული სექტორია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის სამედიცინო დების მე-2 საშუალო სკოლა 1951-52 სასწავლო წელს აწარმოებს 15-დან 30 წლის ასაკამდე მოსწავლეთა მიღებას ქართულ სექტორზე. სკოლა ამზადებს კვალიფიციურ სამედიცინო დებს.

უგამოცდოდ მიიღებიან ის პირები, რომლებმაც 1950-1951 წლებში ფრიადზე დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლის კურსი და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 1950-1951 წლებში, დანარჩენნი გამოიცდებიან არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენასა და [illegible]

[illegible]

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ქობულიას მისი მამის ხარლამპ ლევანის-ძე ქობულიას გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 26-VI, სოფ. მაიდანში (აბაშის რაიონი).

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-08-88, განყოფილებები: [illegible] და უფლებრივისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, [illegible]

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 02781